პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 135 (12647)

სამშაბათი, 11 ივნისი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

180.000 ტონა ჩაისაოდენა!

პლანტაციებში

10 ივნისი

ჩაქვის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას აპრილ-ივნისის გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის. მათ გუშინ მოკრიფეს 550 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილია 11.500 ტონამდე. აპრილ-ივნისის გეგმით მოსაკრეფია 13.950 ტონა. მეჩაიეებმა მტკიცე პირობა დადეს ეს დავალება 15 ივნისისათვის შეასრულონ. ივნისის დასაწყისში დღეებში ჩაის ფოთოლი კრიფონ ვალდებულების ანგარიშში.

აპრილ-ივნისის გეგმის შესრულებაში თავი ისახელა ალაბგრის კოლმეურნეობამ, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 279 ტონის ნაცვლად მოკრიფა 280 ტონა და ახლა კრეფას განაგრძობს ვალდებულების ანგარიშში. 10 ივნისისათვის ასევე გადაჭარბებით გაანაღდეს გეგმები ზენითის, კირნათის, მარადიდის კოლმეურნეობებმა. დაწინაურდა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც სულ მოკრეფილი აქვს 1.160 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა 1.000 ტონამდე ფოთოლი.

სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ უკვე შეასრულა აპრილ-ივნისის გეგმა — მოკრიფა 235 ტონამდე „მწვანე ოქრო". ქაქუთის კოლმეურნეობის წევრმა ემინე ზაქარიაძემ ერთ დღეს მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ლეღვას კოლმეურნეობის მეჩაიემ დარიკო ქათამაძემ — 75 კილოგრამი.

ადრეულ ბიგლიერთა

ღირსეული შეხვედრა — სახელოვან თარიღს!

ჩვენი ქვეყანა, მისი შრომისმოყვარე ხალხი დიდი პოლიტიკური აღმავლობით ემზადება თავისი ნაცადი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის 60 წლისთავისათვის.

ექვსი ათეული წელიწადი ისტორიისათვის მეტად მცირე მონაკვეთია. მაგრამ რა დიდი და დიადია ამ პერიოდში ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პარტიის მოღვაწეობა. ეს ხომ მთელი ეპოქაა კაცობრობის ისტორიისათვის. ეს არის ეპოქა სამყაროს არა მხოლოდ შეცნობისა, არამედ მისი რევოლუციური გარდაქმნისაც, ეპოქა ლენინური ნაპერწკლიდან სოციალიზმის მძლავრი მსოფლიო სისტემის შექმნისა. ეს არის ის დიდი გზა, რაც გაიარეს ბოლშევიკებმა ბელგიის ქალაქ ბრიუსელის იმ პატარა სახლიდან, სადაც 1903 წლის 30 ივლისს რსდმპ II ყრილობა გაიხსნა, ვიდრე კრემლის ყრილობათა სასახლემდე, გზა პროგრამა-მინიმუმზე პაექრობიდან კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის მიღებამდე, საეკლესიო ზარებისა და სამოვრების მკეთებელი ქვეყნიდან — კოსმოსში საბჭოთა ადამიანების ჯგუფურ გფრენამდე!

და დღეს, როცა გაკვალულია სოციალიზმის მთავარი მაგისტრალი, რომლითაც კაცობრობა წინ მიდის, საბჭოთა ადამიანები, სოციალიზმის სისტემის სახელმწიფოთა მშრომელები კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს რსდმპ II ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას. ყრილობამ შექმნა რუსეთში ნამდვილი მარქსისტული პარტია, ახალი ტიპის პარტია იმ იდეურ და ორგანიზაციულ საწყისებზე, რომლებიც ლენინურმა „ისკრამ" წამოაყენა და შეიმუშავა. ამიტომაც წერდა ვ. ი. ლენინი: „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს", რევოლუციონერთა ამ პარტიამ არა მარტო მეფის რუსეთი დაამხო, არამედ მთელი მსოფლიო შეძრა და გახდა გადამწყვეტი ძალა ბედნიერი მომავლისათვის კაცობრობის ბრძოლაში.

სამიკი წლის მანძილზე ისტორიული მოვლენების მთელმა მსვლელობამ რსდმპ მეორე ყრილობიდან დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე და სოციალისტური რევოლუციიდან კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპამდე თვალნათლივ დაადასტურა, რომ გამოცდილების სიმდიდრით, მარქსისტული თეორიის დამუშავების სიღრმით და მისი შემოქმედებითი გამოყენებით კომუნისტურ პარტიას მსოფლიოში ბადალი არ ჰყოლია. ამიტომაც დიდი ლენინის პარტიას საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში დამსახურებულად უჭირავს ავანგარდის სპპაკი ადგილი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო პარტიის XXII ყრილობა. ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამა საბჭოთა ხალხმა მიიღო თავის ყველაზე ღვიძლ და მახლობელ საქმედ. პროგრამების კულტის წინააღმდეგ გაბედულმა და აუკარა ბრძოლამ ფართო ასპარეზი გაუხსნა ჩვენს ხალხს ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობისათვის. მთელი მსოფლიოს წინაშე კვლავ წარმოსდგა საბჭოთა საზოგადოების ურღვევი ძალა, სსრ კავშირის ყველა ხალხის უანგარო ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებისადმი, კომუნიზმის იდეებისადმი.

კომუნიზმისაკენ დიდ ლაშქრობაში საბჭოთა ადამიანებს აღფრთოვანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის სიტყვები:

„კომუნიზმი ახრულებს ისტორიულ მისიას — იხსნას ყველა ადამიანი სოციალური უთანასწორობისაგან, ყველა ფორმის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, ომის საშინელებათაგან და ამკვიდრებს დედამიწაზე მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას".

განვლილმა წლებმა საბჭოთა ადამიანები არაერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ კომუნისტური პარტიის სიტყვა და საქმე მუდამ ერთია. ლენინის პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა საქმე, გარდა ხალხისადმი უანგარო სამსახურისა. პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. საქმით და უქმე დღეებში, ძნელბედობისას თუ სიხარულში პარტია ყოველთვის იყო და არის ხალხთან, გამოხატავს მის ნებას, მის ძირეულ ინტერესებს.

ხალხის ინტერესებისათვის დიდი ზრუნვით იყო ნაკარნახევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის ღონისძიებებმა, რომლებიც პლენუმმა მიიღო, კიდევ უფრო აამაღლა პარტიის როგორც მთელი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი, საშუალება მისცა კომუნისტებს, მშრომელთა მილიონიან მასებს მთელი ძალღონე უფრო კონკრეტულად მოახმარონ ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმია საქართველოს კომპარტია. რესპუბლიკის ქალაქებსა თუ სოფლებში, საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე დიდი მზადებაა პარტიის 60 წლისთავის იუბილეს შესახვედრად. ქართველი ხალხი, კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეული დიდი ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული, მადლიერების გრძნობით აღსავსე თვალს აკლებს ლენინური პარტიის სახელოვან ბრძოლის გზას და აჯამებს იმ კოლოსალურ შედეგებს, რომლებიც მოიპოვა საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელთა მზადებას და სიხარულს პარტიის 60 წლისთავის აღნიშვნისთვის აორკეცებს მზადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის, რომელიც უახლოეს დღეებში შეუდგება მუშაობას. პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ამ ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენისათვის მზადება სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს რესპუბლიკის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიული კომიტეტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას, რომელიც გამოწვეულია ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენებით.

— სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ავიღოთ შვიდწლედის ახალი ზღუდეები, მივცეთ სამშობლოს მეტი სამრეწველო პროდუქცია, გავაძლიეროთ ჩაის კრეფის ტემპები, ვადაზე ადრე და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, კიდევ უფრო განვამტკიცოთ იდეოლოგიური მუშაობის კავშირი ცხოვრებასთან, ზეიმის დღეებშიც ლენინურად მივაქციოთ უურადღება გადაუჭრელ ამოცანებს. ეს იქნება ჩვენი პარტიის საიუბილეო თარიღის საუკეთესო აღნიშვნა.

აგიტატორების, პროპაგანდისტების, ლექტორების, პოლიტიკური მომხსენებლების, იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკის ვალია პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სახელოვანი იუბილისათვის მზადება გააჩაღონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მშრომელთა შემდგომი დარაზმვის, პარტიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცების ნიშნით, სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

ღირსეული შეხვედრა კომუნისტური პარტიის სახელოვან თარიღს — 60 წლისთავს! — ასეთია ჩვენი საზეიმო მოწოდება.

თავდადებული შრომით გაახარა სამშობლო შარშან წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს სოფელ გუმბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ **ოლია უშვერიძემ.** მან 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან მოკრიფა 6.657 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

მეჩაიე ოლია უშვერიძის თაოსნობა

ამ გამარჯვების გამო ოლია უშვერიძემ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მეჟავანაძის მისალოცი დეპეშა.

წელსაც საუკეთესოდ მუშაობს ოლია. ათი ივნისისათვის მან გადაჭარბებით გაანაღდა წლიური გეგმა, მოკრიფა 2.130 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ოლია პირველ ადგილზეა საწარმოო სამმართველოში.

ბეჯით და საქმის მოყვარულ მეჩაიეს არ აკმაყოფილებს მიღწეული. იგი ახალი თაოსნობით გამოვიდა. მან ვალდებულება იკისრა ყოველდღიურად კრიფოს 3-4 კილოგრამით იმაზე მეტი, ვიდრე შარშან. სულ სეზონში მოკრეფს 300 კილოგრამით იმაზე მეტ „მწვანე ოქროს", ვიდრე გასულ წელს. წარჩინებულმა მეჩაიემ წერილით მიმართა საწარმოო სამმართველოს ყველა მეჩაიეს მიბაძონ მის მაგალითს.

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს სასოფლო საწარმოო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ოლია უშვერიძის ინიციატივის გავრცელების შესახებ და მოიწონა იგი. ბიურომ რჩევა მისცა მეჩაიეობის მეურნეობათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობათა გამგეობებსა და აგროსპეციალისტებს ფართოდ გააცნონ კომუნისტ ო. უშვერიძის ინიციატივა საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებს და დარაზმონ ისინი ჩაის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ოლია უშვერიძის ამ სასარგებლო ინიციატივამ რესპუბლიკის ყველა მეჩაიის ფართო მხარდაჭერა უნდა ჰპოვოს.

დ. გაბრიაძე,
წყალტუბოს სარაინთაშორისო გაზეთ „დროშის" რედაქტორი.

* * *

სურათზე: ო. უშვერიძე.

რკინიგზელთა ინიციატივა

ვაგონების ბრუნვის დაჩქარება იყო და არის რკინიგზელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რადგანაც იგი არსებითად ამაღლებს ტვირთზიდვის ტემპს და აიაფებს მის თვითღირებულებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა აზერბაიჯანის გზასთან გაერთიანების შემდეგ მიიღწია საეკსპლოატაციო სამუშაოების გაუმჯობესებას, კერძოდ, დაჩქარა ვაგონების ბრუნვა.

რკინიგზელებმა გაითვალისწინეს თავიანთი შესაძლებლობანი და 7 ივნისს მიმართეს გზათა მინისტრს ბ. პ. ბეშჩევსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ე. ტ. ჩერედნიჩენკოს თხოვნით გადასინჯონ და 2,4 საათით შეამცირონ ვაგონების ბრუნვის ნორმა, რომელიც დადგენილია 1963 წელს.

რკინიგზაზე ვაგონების ბრუნვის ახალი წლიური ნორმის შესრულების უზრუნველსაყოფად გადასინჯულია მთელი რიგი გადამწყვეტი სადგურების მუშაობის ტექნოლოგია, გათვალისწინებულია აღმოჩენილი რეზერვების გამოყენება. გაუმჯობესდა აგრეთვე სატვირთო სამუშაოების ორგანიზაცია და შემცირებულია სატვირთო ოპერაციებზე ვაგონების მოცდენა. (საკდესი).

სილამაზისა და სიჭაბუკის ზეიმი

საქართველოს მესამე სპარტაკიადის გახსნა

კალენდრით ზაფხულია თბილისში. ამინდი მაინც ჭირვეულობს. ხშირმა წვიმებმა მზე სანატრელი გახადა. კვირას კი თბილისის ცაზე მთელი დღე კიაფობდა მზე, აფრქვევდა საამო სითბოს. თითქოს ამინდსაც სურდა მონაწილეობა მიეღო სიჭაბუკის, ძლიერების, სილამაზის, ახალგაზრდობის მშვენიერ დღესასწაულში — საქართველოს მესამე სპარტაკიადის საზეიმო გახსნაში.

საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულმა კუნთმაგარმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ღიმილით, სილამაზით „დაიპყრეს" თბილისი. ისინი — საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, გამარჯვებულნი სარაიონო, საოლქო სპარტაკიადებზე ჩამოვიდნენ დედაქალაქში; კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე, საჭიდაო ხალიჩებზე და რინგის კვადრატებზე, მძლეოსნურ ბილიკებზე და ჩოგბურთის კორტებზე, ცისფერ აუზებში და ტრეკებზე, იმოდრომზე და ჭადრაკის დაფებთან თავიანთ ძალებს გამოსცდიან, ოსტატობას აჩვენებენ სპორტის ათასობით მოყვარულს.

ლამაზად მოერთავთ „ბურეევსტნიკის" სტადიონი. ტრიბუნების თავზე ფრიალებენ ნაირფერი სპორტული ალმები, ალისფერ ტილოებზე თეთრი ასოებით დაწერილ მისასალმებელ სიტყვებს კვითხულობთ.

17 საათია. მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები გ. ნ. ბოჩკარიოვი, გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. დ. ჯავახიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, მინისტრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

გაისმის საყვირის ხმა. აღმოსავლეთიდან დაიძრა საქართველოს მესამე სპარტაკიადის მონაწილეთა კოლონა. კოლონას წინ მიუძღვის 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონი ბერმეინონი ვიდაბაში გურამ საღარაძე. რომელსაც მაღლა ალმამართავს საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი. სპორტის ოსტატებს გივი ჩიქვანაიას, ლერი გოგოლაძეს, ოთარ მიმინოშვილს მოაქვთ საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი. მედროშეთა კოლონას მოაქვს სპორტულ საზოგადოებათა ალმები.

ტრიბუნებიდან მოსწყდა ტაში. ორმოცი ათასი მაყურებელი მიესალმება იმათ, ვინც წარსულში სახელი და დიდება მოუტანეს საბჭოთა სპორტს, ახლა კი ისინი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდობას უზიარებენ. სპორტის ვეტერანთა მკერდზე ელავს მსოფლიო და საკავშირო ასპარეზობებში მოპოვებული ურიცხვი მედალი. აი ისინიც: ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, მზია ჯუღელი, ნადეჟდა დვალიშვილი, მირიან ცალქალამანიძე, შალვა ჩიხლაძე, რაფაელ ჩიმიმკიანი და სხვები.

სპორტსმენთა კოლონები სტადიონის ბწყვნე მინდორზე ჩამწკრივდნენ. პარადი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. მ. სირაძემ. იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა სპარტაკიადის მონაწილეებს და უსურვა ახალი წარმატებები შრომაში, სწავლასა და სპორტში.

რესპუბლიკის მესამე სპარტაკიადა გახსნილად ცხადდება. სტადიონზე დარიხა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის მელოდიები. სპარტაკიადის ალამი ნაკრები გუნდების წარმომადგენლებმა აღმართეს.

პარადის მონაწილენი თვალს მიეფარნენ. მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებმა და საბჭოთა არმიის მეომრებმა.

დასასრულს მოეწყო შეჯიბრება ფეხბურთში.

მარშალი ამერი ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვს

მოსკოვი, 10 ივნისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცეპრეზიდენტი მარშალი აბდელ ჰაქიმ ამერი მიიწვია მოსკოვს ახლო აღმოსავლეთ. მარშალ ამერს თან ახლდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში მ. მ. ჰალეი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ივნისის მზიანი დღე გაატარეს ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად მის ოჯახში. აქვე იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

გასეირნების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა სტუმრები საღილად მიიპატიჟა ოჯახში. გასეირნების დროს და სუფრასთან გაიმართა გულითადი და გულღია საუბრები.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ჰაროლდ ვილსონს

10 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჰაროლდ ვილსონი, რომელიც მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჰაროლდ ვილსონს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა პრობლემებზე.

ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერთან ერთად საუბარს დაესწრნენ ლეიბორისტული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე პატრიკ გორდონ-უოკერი, პარლამენტის წევრი ჯ. ლეიტერი, ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელი დევიდ ენალზი.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. (საკდესი).

ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანს შორის მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ მომდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებში მოსკოვში განახლდეს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის განხილვა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. (საკდესი).

მოსკოვი ემგზავრება კონგრესის დელეგატთა შესახვედრად

მოსკოვი, 8 ივნისი. (საკდესის კორ.). მეგობრული ღიმილითა და ყვავილებით შეხვდება საბჭოთა დედაქალაქი ქალთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს. აქ საზღვარგარეთიდან ჩამოვა ორი ათასამდე დელეგატი და სტუმარი. მათ შესაძლებლობა მიეცემათ ფართოდ გაეცნონ მოსკოვის ცხოვრებას, მის ღირსშესანიშნაობებს, საბჭოთა კულტურასა და ხელოვნებას.

საბჭოთა მხატვარ-ქალთა საუკეთესო ნაწარმოებების დიდ გამოფენას მოაწყობენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და მხატვართა კავშირი.

განზრახულია გაგრძელდეს ფოტოგამოფენა „შვიდწლედი მოკმედებაში" და გამოფენა „საბჭოთა ესტამპი" ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში (მანეჟი). პირველი დამთვალიერებლები მოგიდნენ გამოფენაზე „მხატვრები — ბავშვებს".

კომპოზიტორ ოსტროვსკის ხუთ ენაზე ჩაწერილი სიმღერის „ღე ყოველთვის იყოს მზე" ფირფიტა — ერთ-ერთი სუვენირია, რომელსაც მიიღებენ კონგრესის მონაწილეები. 120-ზე მეტი ქვეყნის ქალები პიონერთა სასახლეში გაეცნობიან საბჭოთა ბავშვების შემოქმედებას.

ცენტრალური საბავშვო თეატრი საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა პატივსაცემად აწყობს საუკეთესო სპექტაკლების დეკადას. ამ დღეებში აქ გაიმართება ქართველი დრამატურგის გოგოლაშვილის ომის წინააღმდეგ მიმართული პიესის „წერილების" პრემიერა, რომელიც მაყურებელს მოუთხრობს ხროსიმელ გოგონას ტრაგიკულ ბედზე.

საინტერესო სპექტაკლები, კონცერტები გაიმართება მოსკოვის სხვა თეატრებში, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში.

უუგანი კურეულს ილეგს

კრასნოდარი, 10 ივნისი. (საკდესის კორ.). ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში, სადაც გამქვირვალე მდინარეები სერავენ ველებს, დღეს მზის ამოსვლისთანავე აგუგუნდა მოსავლის ასაღები მანქანები. ლენინის სახელობის კოლმეურნეობასა და კოლმეურნეობა „ვარსკვლავში", აგრეთვე კრასნაიას საწარმოო სამმართველოს სხვა მეურნეობებში დაიწყო საშემოდგომო ქერის შერჩევით მკა. კომბაინებმა, რომლებსაც ჰქონდათ პირფართო სამკალები, ღვარეულებად მომკილია პირველი რამდენიმე ათეული ჰექტარი პურეული.

მკა დაიწყო!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კომპოზიტორ ტ. ნ. ხრენიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა მუსიკის განვითარებაში და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით კომპოზიტორი ტიხონ ნიკოლოზის-ძე **ხრენიკოვი** დაჯილდოდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1963 წ. 8 ივნისი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ 1963 წლის 10 ივნისს უეცრად გარდაიცვალა საქართველოს კპ ქობულეთის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი ილიას ხუსეინის-ძე ნოღაიდელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო



საქართველოს სსრ III სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. სურათზე: მონაწილეთა პარადი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მოქალაქის სინდისი გვაქვს

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია ერთი მისწრაფებით: წარმატებით განახორციელოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო. კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის კეთილშობილური პრინციპები ღრმად დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანის შეგნებაში და იგი თანდათან იქცევა სახალხო ჩვეად.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, წარსულის გადმონაშთებით დაავადებული პირები, რომლებიც საზოგადოების ნაოფლარით ცხოვრობენ, ბინძურ ხელებს აფათურებენ სახალხო დოვლათში და უშრომლად სურთ გამდიდრდნენ.

ამიტომაც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დიდ როლს ასრულებს ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა და საზოგადოების წევრთა მაღალი შეგნებულობა.

ჩვენი რესპუბლიკის მილიციის ორგანოები პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების ორგანოებთან ერთად მშრომელთა ფართო მასების ერთგული მხარდაჭერით აქტიურ ბრძოლას ეწევიან ყველა ჯურის ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა როდია ისეთებიც, რომლებზეც ჯერ კიდევ ვერ იმოქმედა ამ ზომებმა და კვლავ განაგრძობენ საერთო ცხოვრების ნორმებისა და მარცხწესრიგის დარღვევას, აბუჩად იგდებენ შრომასა და საბჭოთა კანონიერებას.

ამას წინათ მილიციის ორგანოებმა გამოავლინეს „რუსთავვაჭრობის" № 1 ატელიეში მოკალათებული კომბინატორების ჯგუფი, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეწეოდნენ სახელმწიფო ქონების დატაცებას ათასგვარი კომბინაციებით. ამ არამზადების ჯგუფის მთავარი მესვეურები იყვნენ ატელიეს დირექტორი, სკკპ წევრი კოროშინაძე, საწყობის გამგე ჯანაშვილი, ატელიეს ბუხმალტერი გამყრელიძე და „რუსთავვაჭრობის" მთავარი ბუხმალტერი ჯიშკარიანი.

კომბინატორები ქსოვილების ხარჯვის ნორმების გადიდებით, ძვირფასი ქსოვილების ფიქტიური ჩამოწერით აგროვებდნენ ნაშთებს და ითვისებდნენ. ატელიეში გავრცელებული იყო არასასაქონლო ოპერაციები პირადი გამდიდრების მიზნით.

მილიციის ორგანოებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ დროზე ვერ შეძლეს გამოვლინებინათ ამ გარეწრების საქმიანობა. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ ატელიეს კოლექტივის თვალწინ ხდებოდა? რატომ დუმდნენ ისინი, რატომ ვერ შეამჩნიეს კომბინატორების თარეში? რატომ ვერ შეძლეს დროზე მოეკვეთათ წარმოების ორგანიზაზე გაჩენილი მუწუკი? აი სად არის ჩვენი ძირითადი ნაკლი, აი რატომ ბედავს ქურდი იმოქმედოს და აბუჩად აიგდოს ზოგიერთ დაწესებულებაში კოლექტივის ძალა.

ახე მოხდა ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მილიციის ორგანოების მიერ ნიღაბახდილ იქნა აფხაზეთის მარმარილოს წარმოების სამმართველოში მოკალათებული კომბინატორების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ყოფილი დირექტორი ა. ვ. ტოგონიძე, მთავარი ინჟინერი მ. ე. ფაცაცია, კარიერის უფროსი გ. კ. ვაწაძე, უფროსი ბუხმალტერი პ. დ. უგულავა და სხვები, რომლებმაც სახელმწიფოს მიაყენეს 25.000 მანეთის ზარალი. გარდა ამისა, მილიციის მუშაკებმა წაასწრეს მათ იმ დროს, როცა წარმოებიდან კიდევ უნდა მიეთვისებინათ 30.000 მანეთისაზე მეტი სახელმწიფო ქონება.

რამ გამოიწვია ასეთი უპრეცედენტო მტაცებლობა? იმან, რომ საქართველოს სამთამადნო სამმართველოს ხარვეზიანი აპარატი ყურადღებას არ აქცევდა, ეგუებოდა ნაკლოვანებებს, სუფევდა უკონტროლობა. ყველაფერმა ამან შექმნა პირობები დატაცებისათვის. ამას ადასტურებს ის, რომ აღნიშნული სამმართველოს ყოფილი რევიზორი ნ. გედევანიშვილი თვითონ იყო კომბინატორთა ჯგუფის წევრი.

სერიოზული მუშაობა გასწიეს მილიციის ორგანოებმა პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ სუსტია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კოლექტივების მონაწილეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულება გადაჭრით ავალებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოდაწესებულებების კოლექტივებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს გაძლიერონ ბრძოლა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას. ზოგჯერ ბრძოლის გაძლიერების ნაცვლად ზოგიერთი სუტენებისაყოფის ადამიანი თვითონ ექცევა პარაზიტული ელემენტების გავლენის ქვეშ და ხდება მათი მსხვერპლი.

ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკიც კი კანონისა და მთავრობის დადგენილების განხორციელების საქმეში. ყველაფერი ეს ხელს უშლის ჩვენს მშრომელებს შემოქმედებითს შრომასა და დასვენებაში.

ამ დღეებში მილიციის ორგანოების მიერ გამომჟღავნებულ და პასუხისგებაში მიცემულ იქნა კომბინატორთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ კიროვის რაიონის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ინჟინერი შ. კ. უზნაძე და პარაზიტული ელემენტი, უსაქმური, სპეციალობით იურისტი შ. დ. ამაშუკელი. მათ ჩამოაყალიბეს ფიქტიური სახბინაო ამხანაგობა და კიროვის რაიონის შემნახველ სალაროში გახსნეს ანგარიში. ამის შემდეგ იზიდავდნენ ამხანაგობაში წევრებს, ართმევდნენ მათ ფულს და ჰპირდებოდნენ საცხოვრებელი ბინების აშენებას. ამ გზით მათ გამოძალეს და შეაგროვეს 59.800 მანეთი. ამ თანხის ნაწილი მითვისეს.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ზოგიერთი მოქალაქე კრიტიკულად არ უდგება საეჭვო ცხოვრების მიმდევარი ადამიანების მოქმედებას და ბრმად ეხვევა მათს ჭუჭყიან ბადეში.

მოვიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს. ქ. თბილისის ქარხანა „ელექტრომრავში" თავი მოიყარეს „დიდი მანეთის" მოყვარულმა პირებმა: დაცვის უფროსმა სანდრო ქორიძემ, მცველმა მარკოზ ჯუსოევმა და საამქროს უფროსმა ნოდარ კვინიკაძემ. ეს სამეული 1962 წლიდან ეწეოდა თუნუქის ორგანიზებულად დატაცებას. ისინი ბოლოს იმდენად გათავხედდნენ, რომ სრულიად უშიშრად შემოპყავდათ ავტომობილები ქარხნის ტერიტორიაზე და გაჰქონდათ საქონელი. ამ წესით მათ დიდ-ტაცეს დიდძალი თუნუქი. ისინი შეპყრობილ იქნენ მაშინ, როცა გურჯაანის რაიონში ჰყიდდნენ დატაცებულ საქონელს.

ასეთი და ამის მსგავსი გადაგვარებული ადამიანები, სახელმწიფო ქონების ქურდობით დაგროვილი თანხებით იშენებენ სახლებს, ყიდულობენ ავტომობილებს, ეწევიან ხელგაშლილ ცხოვრებას. ისინი საწარმოო-დაწესებულებებში მუშაობენ, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ. ვინ არიან ისინი? სახალხო დოვლათის ქურდები, რომლებსაც არ აწუხებთ სინდის-ნამუსი, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ სახელმწყობის რომელი ჯიბიდან მოიპარონ. აი სწორედ აქ გვესაჭიროება კოლექტივის მკაცრი გაკიცხვა. საზოგადოებრივის მძლავრი სამსჯავრო. მხოლოდ ამ გზით ამოვკვეთთ ძირფესვიანად ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ელემენტებს.

სწორედ ამაზე მიუთითებდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი რუსეთის სფსრ მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა თათბირზე 1963 წლის 24 აპრილს, როცა თქვა: „ყოველი მოქალაქის ვალია, ხატოვნად რომ ვთქვათ, იგრძნოს თავი მილიციელად, ესე იგი ადამიანად, რომელიც დგას საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის სადარაჯოზე, საზოგადოების დოვლათის დაცვის სადარაჯოზე".

სამწუხაროდ, ყველგან როდი იღებს საზოგადოებრივობა აქტიურ მონაწილეობას ამ სერიოზულ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა გატარებაში, ეს კი უარყოფითად მოქმედებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებაზე.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ სპეციალური დადგენილებით აკრძალა საასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთპიროვნული გატანა გასაყიდად რესპუბლიკის გარეთ. ასეთი დადგენილების მიღება გამოწვეული იყო იმით, რომ რესპუბლიკის მცხოვრებლებს გარკვეული ნაწილი ჰყიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს რუსეთის ქალაქების საკომერციო ბაზრებზე სპეკულაციური ფასებში. ამ გარემოებით სარგებლობდნენ სპეკულანტები, ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეები თვეობით სწყდებოდნენ საკოლმეურნეო შრომას და ამის გამო შრომადღეების მინიმუმიც არ ჰქონდათ გამომუშავებული.

ნაცვლად იმისა, რომ დადგენილების შესრულებისათვის ეწარმოებინათ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, ზოგიერთი დაწესებულების მუშაკები ანგარების მიზნით, პირიქით, ხელს უწყობდნენ დადგენილების დარღვევას სპეკულანტების სასარგებლოდ. ასე მოხდა ამას წინათ ქ. თბილისის სამოქალაქო აეროდრომზე.

მილიციის მუშაკებმა დააკავეს გორის რაიონის მცხოვრებლები: ცხინვალის სატყეო მეურნეობის მეტყევეები ზუმბულიძე, სოფელ მეჯვრისხევის სასოფლო კოოპერატივის სასადილოს მებუფეტე იჩქითი და კოლმეურნე ვარდანაშვილი, რომლებმაც აეროპორტში ჩამოიტანეს 9 ტონა ვაშლი და მიჰქონდათ ქ. სვერდლოვსკში.

აეროპორტის უფროსმა გოგლიძემ და გადაზიდვის განყოფილების უფროსმა გობეჯიშვილმა მოწყალების ხელი გაუწოდეს აღნიშნულ მოქალაქეებს და საეკალური თვითმფრინავი „ტუ-104" მიაქერავეს მათ 5.500 მანეთად.

შემოწმებით დადგინდა, რომ ამ წესით თბილისის აეროპორტის მუშაკებმა 1962 წელს სხვადასხვა პირებს საშუალება მისცეს რესპუბლიკის გარეთ გაეტანათ 300 ტონამდე ვაშლი.

აი რაოდენ უპასუხისმგებლობას და დანაშაულებრივ ქმედობას სჩადის ზოგჯერ ამ ადამიანთა ერთ-ერთ ნაწილი.

ველით ახალ მევსებას

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო აბიტურიენტთა განცხადებების მიღება მისაღებ გამოცდებზე დაშვებისათვის. პედინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე ამ დღეებში დაიწყება მისაღები გამოცდები. წელს უმაღლეს სასწავლებლებში და ტექნიკუმებში ჩარიცხული იქნება 22.685 კაცი. უნდა ვივარაუდოთ, რომ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის მსურველთა რაოდენობა 2-3-ჯერ, ზოგან კი უფრო მეტჯერ დიდი იქნება, ვიდრე ვაკანტური ადგილებია.

ეს გარემოება აავალებს რექტორატებსა და დირექციებს, პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს ფულსხმიერებითა და პასუხისმგებლობით მოეპყრონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღებას მიმდინარე წლის წესები ძირითადად იმეორებს გასული წლების მიღების წესების ძირითად პრინციპებს. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას უპირატესობა ეძლევათ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ საწარმოო სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე უპირატესობა ეძლევათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მუშაობენ მათ მიერ უმაღლეს სასწავლებელში არჩეული პროფილის მიხედვით, და სხვ. ამასთანავე ერთად მიღების წესებში არის ზოგი სიახლეც: უცხოთის მოქალაქენი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან საერთო წესით.

მიღების ახალ წესებში მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს აბიტურიენტის მიერ მიღებული ქულების განსაზღვრის პირობები, რომლის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:

მხედველობაში მიღებული იქნება ნიშნები, რომლებსაც გამოცდებზე აბიტურიენტი მიიღებს საერთო და მაპროფილებელ დისციპლინებში;

მხედველობაში მიღებული იქნება აბიტურიენტის საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატში აღნიშნული იმ საგნების ნიშნები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას ითვლებიან მაპროფილებელ საგნებად. ანგარიში ეწევა არა მარტო გამოცდებზე აბიტურიენტის მიერ მიღებულ ნიშნებს, არამედ იმ ნიშნებსაც, რომლებიც მათ მოიტანეს საშუალო სკოლებიდან. საჭიროა უმაღლესი სკოლის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი, მმდგები კომისიის წევრები და მიღების საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა პირი ზედმიწევნით ზუსტად ეოკვალდნენ მიღების წესებში საერთოდ და ნიშნების განსაზღვრის საქმეში კერძოდ.

აბიტურიენტებს, საბჭოთა რომ შეაქვთ, უნდა ეცნობოდნენ მიმღები კომისიის წევრები, პირადად უნდა ესაუბრონ მათ, მისცენ საჭირო ახსნა-განმარტება, რამდენად სწორად აქვთ არჩეული მათ თავიანთი მომავალი სპეციალობა, შეამოწმონ საწარმოს, კოლმეურნეობის და სხვ. მიერ გაცემული საბუთების სისწორე.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ახალი ნაკადით შეივსება არა მარტო ამ სასწავლებლების, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სისხლბრიგადები საქმეა და მას მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ.

პარტიისა და მთავრობის მრავალი მითითებით, აგრეთვე მიღების წესებით შესაბამის ორგანოებს და ორგანიზაციებს დაკისრებული აქვთ ხელი შეუწყონ მოწინავეები და ღირსეულ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღების საქმეში, ისინი ვალდებული არიან გასცენ დახასიათებები, რომელთა წარდგენა, სხვა საბუთებთან ერთად, უმაღლეს სასწავლებლებში გთვალისწინებულია მიღების წესებით. მიღებულთა 4/5-ს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მუშაობის 2 და მეტი წლის საწარმოო სტაჟი. გასულ 1962 წელს ასეთმა ახალგაზრდებმა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულთა მხოლოდ 56 პროცენტი შეადგინეს, რაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, რკინიგზის ტრანსპორტის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი გეოლოგიურ-საძიებო ორგანიზაციები და სხვ. უმაღლეს სასწავლებლებში თავიანთი სტიპენდიებით გზავნიან მოწინავე, მომზადებულ ახალგაზრდობას. ასეთი წესით წარგზავნილი ახალგაზრდები ამჟამად სწავლობენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ მათი რაოდენობა ძალზე ცოტაა.

ამ საქმეში ხშირად აღგილი აქვს უხეშ დამახინჯებებს. არის შემთხვევები, როდესაც მიღებინებით წარმოების ან კოლმეურნეობის ხარჯზე იგზავნებიან პირები, რომლებსაც არაფერით არ დაუმახასიათებიათ ეს, ხშირად სტიპენდიით მივლინება ეძლევათ მხოლოდ იმისათვის, რომ ესა თუ ის პირი მიღების წესებით გათვალისწინებული შეღავათებით (კონკურსგარეშე) ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო მიღების შემდეგ მათ უწყვეტენ სტიპენდიას, ან ასეთი „მოწინავე" პირები უმაღლეს სასწავლებლებში ვერ სწავლობენ. თავიანთი სტიპენდიებით გარკვეული რაოდენობა ახალგაზრდებისა უმაღლეს სასწავლებლებში წარგზავნეს ტყვარჩელის, ტყიბულის ქვანახშირის, ჭიათურის მარგანეცის, საქართველოს მადარომთმშენებლობის, საქჰიდროელექტრომშენისა და სხვა ტრესტებმა და მრავალმა კოლმეურნეობამ.

აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაციები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ წარმოებისა და კოლმეურნეობის მოწინავე ახალგაზრდების შერჩევისა და უმაღლეს სასწავლებლებში წარგზავნის საქმეს. ისინი უზრუნველყოფენ მათ სტიპენდიებით, იჩენენ მათ მიმართ გულისხმიერებასა და მზრუნველობას. ამავე დროს რესპუბლიკაში არიან ორგანიზაციები და კოლმეურნეობები, რომლებიც აღღვევენ მთავრობის მიერ დადგენილ წესებს, ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტს უწყვეტენ სტიპენდიის მიცემას, ან გზავნიან ახალგაზრდებს ისეთ სპეციალობაზე, რომელზეც მათ არ სჭირდებათ, ან დიდხანს ჯერ დასჭირდებათ.

მუშაობის 2 წლის სტაჟად ითვლება დრო, რომელიც ახალგაზრდამ გაატარა საწარმოში თუ დაწესებულებაში, სულერთია როდის, ე. ი. საშუალო სკოლაში მების ხელმძღვანელებმა გააანალიზონ ამ კურსების მუშაობა, ერთად შესაძლებელია ადგილებზე საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან ერთად მოწყოს მოსამზადებელი კურსები (სამეურნეო ანგარიშზე, [illegible]). ამ საქმის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს [illegible] ,

საჭიროა ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების ხელმძღვანელებმა [illegible] ,

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები უზრუნველყოფილი არიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით კადრებით, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე მოწყობილი კაბინეტებით, ლაბორატორიებით, კლინიკებით, სასწავლო-საცდელი მეურნეობებით, კარგად მოწყობილი საერთო საცხოვრებლებით, სტუდენტთა სასადილოებითა და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურებით. სტუდენტთა 70-80 პროცენტი უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტიპენდიებით.

წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებს 8.420 კაცი, ტექნიკუმებს — 6.476 კაცი. ამ დღეებში დაიწყება მათი სამუშაოზე განაწილება. თვით ფაქტი, რომ უმაღლეს განათლებამიღებული ყველა სპეციალისტი ორგანიზებულად იგზავნება სამუშაოზე, იმ დიდი მზრუნველობის გამოვლინებაა, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საბჭოთა ახალგაზრდობის მიმართ იჩენენ.

მალე ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მიერ გამოშვებული მრავალათასიანი არმია ჩადგება კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში, ხოლო მათ ნაცვლად სასწავლებლები მიიღებენ ახალ შევსებას, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ეჭვი არ არის, რომ უმაღლესი სკოლების, ტექნიკუმების ყველა მუშაკი, პროფესორები და მასწავლებლები არ დგანან თვიანთი ენერგიის, ცოდნის, გამოცდილებას, რათა ორგანიზებულად დაამთავრონ 1962-1963 სასწავლო წელი და მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის.

ამით ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს კვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ისტორიულ საქმეში.

ნ. ჭახრაკია,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ჩამწარებული სიხარული

მოგზაურებელი რედაქციაში მოვიდა



რედაქციაში საშუალო ხნის მანდილოსანი მოვიდა; მას თან პატარა ბიჭი ახლდა, რომელსაც ხელში ლანჩამაძვრალი ფეხსაცმელი ეჭირა.

ამ ტუფლებს თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის იარლიყი აზის, — ეკვეუბნება მარიამ თუბარელი, — 19 მაისს ვუყავდე ჩემს ნუგზარს. ბავშვის აიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა და ხუთ დღეში ფეხსაცმელს ლანჩი აძარა.

— ეს მეორე შემთხვევაა, თქვა პატარა ნუგზარმა, რომ ფაბრიკის გამო დედას დამნაშავედ გამოვყავარ, ალბათ ფეხბერები ითამაშე და ამიტომ მალე დაიხაო! პირველად ჩემმა სიმართლემ არ გაჭრა, მეორე წყვილი რომ მიყიდა, სკოლის გარდა არსად წავსულვარ, ფრთხილად დავდიოდი, რომ არ დახეულიყო, მაგრამ ბედმა ისევ ასე ბრალეულ ფეხსაცმელს ლანჩი ასძარა.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა გამწარებული მომმხარებელი რედაქციაში მოდის და თან მოაქვს ფაბრიკის წუნის სავალალო ნიმუშები. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ნიმუშები ფაბრიკაში უფრო ბევრი მიდის.

საზოგადოების მკაცრი კონტროლით!

ფელეტონი

მანქანები არის, საწვავი კი...

ქალაქ ტყიბულის კეთილმოწყობილ ქუჩებში ამჟამად 200-ზე მეტი ავტომანქანა დასრიალებს. მაგრამ დღემდე მოუგვარებელია საწვავ-საცხები მასალებით ვაჭრობა. ბენზინით გასაწყობი ერთადერთი სადგური ქალაქს დაშორებულია დიდი მანძილით. ცუდ ამინდში უხვირო მისასვლელი გზის გამო ავტომანქანები ბუქსაობენ, ვერ აღწევენ ბენზინით გასაწყობ სადგურამდე და უკან ბრუნდებიან. ზოგჯერ ასეც ხდება: მიდგებიან ბენზინის სადგურში, მაგრამ საწვავს ვერ ვიძენენ ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის დაზიანების გამო. არ იქნა და სადგურში დღემდე ვერ დაამონტაჟეს ბენზინის ჩამოსასხმელი ხელის მექანიკური აპარატი.

რას იტყვის ამ ნაკლოვანებებზე საქნავთმომარაგების გასაღების სამმართველო?

ლ. ბებია,
ნ. გალიმზიანოვი,
მსუბუქი ავტომანქანის მძღოლები.

სტრიქონები ამხილებენ

წვიმების დროს სოხუმის ქუჩის მეორე შესახვევი (ქალაქი ბათუმი) გაუვალი ხდება. დიდხანს გაგრძელდება ასე?

ი. მაისაია, ს. ცერცვაძე.

სამი წლის წინათ შეწყდა ზესტაფონის რაიკოოპკავშირის სვირის სოფლის კოოპერატივის შენობის რემონტის სამუშაოები. რაც გაკეთდა, ისიც ინგრევა, იშლება...

ჯ. კიკნაველიძე.

კარტოფილის თესვა — ბედის ანაბრად

მთის ნიადაგი ხანგრძლივად ინარჩუნებს სინესტეს, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის კარტოფილის — ამ ძვირფასი სასურსათო კულტურის უხვი მოსავლის მოსაყვანად. ამიტომ მეკარტოფილეობას ძველთაგანვე მისდევდნენ ლიახვის ბეობის მთის ზონაში, იქ, სადაც ბობოჭარი მდინარე სათავეს იღებს. მოხუცებს ახსოვთ ჯავის რაიონის სოფელ წონიდან, როკიდან, ერმანიდან, კიროვიდან, ხვწედან ჩამოტანილი შესანიშნავი კარტოფილი. ჯავაში მოყვანილი კარტოფილი საუკეთესოდ მიაჩნდათ და მიაჩნიათ ქართლის რაიონებში.

ცოტა როდია იმის მაგალითები, როცა ჯავაში მოწონავე ადამიანები ჰექტარზე 150-200 ცენტნერ საუკეთესო ხარისხის კარტოფილს იღებენ. შარშან სოფელ სინაგურის კოლმეურნეობამ, მიუხედავად ხანგრძლივი გვალვებისა, დიდ ფართობზე 120 ცენტნერი კარტოფილი მიიღო ჰექტარზე. კარტოფილის საუკეთესო მოსავალი მოპყავდათ საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფელ ხვწეს კოლმეურნეობის წევრებს ასინეი ფარასტაევას, სოფიო ხარებოვას, ჯავის კოლმეურნეობის წევრებს სერგო ქილეხსაევს, პავლე ფარასტაევს და სხვებს. მოწონავთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჯავის რაიონში მეცხოველეობასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს მიკარტოფილეობას, ამ ძეტად შემოსავლიან დარგს. მაგრამ ხდება პირიქით. შარშან გათვალისწინებული ი ყო, რომ ჯავის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერ კარტოფილს მიიღებდნენ. სინამდვილეში კი მოსავლიანობამ 37 ცენტნერს ძლივს მიაღწია.

სოფელ ყემულთის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 20 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, მსხლებისამ — 9,2 ცენტნერი. პირდაპირ სამარცხვინო ფაქტია, როცა კარტოფილის მოსავალი თესლს ვერ ფარავს. შარშან კარტოფილის დაბალი მოსავალი მოვიდა აგრეთვე კიროვის, ვანელისა და სხვა კოლმეურნეობებში.

ჯავის რაიონში მეკარტოფილეობაში ასეთი ჩამორჩენა პირველ რიგში იმით უნდა აიხსნას, რომ უხეშად ირღვევა თესვის აგროტექნიკური ვადები და წესები. თითქმის ყოველ წელიწადს ერთი და იგივე მეორდება: გვიან თესავენ და ამის გამო კარტოფილი შემოსვლას ვერ ასწრებს.

ასეა წელსაც. ივნისის პირველი რიცხვებისათვის ჯავის რაიონში გათვალისწინებული 400 ჰექტარიდან დათესილი იყო მხოლოდ 45 ჰექტარი. არც ამ რიცხვის შემდეგ ხდება დიდი ძვრები კარტოფილის თესვაში. მართალია, არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომელთა კარტოფილის სათესი ფართობები ჯერ კიდევ თოვლით არის დაფარული (როკა, ედისი, ერმანი), მაგრამ რა უშლით ხელს კარტოფილის თესვაში ჯეჯორის ხეობაში სოფელ კიროვისა და ჩახალის კოლმეურნეობებს? იქ ხომ დროგამოშვებით მაინც არის თესვისათვის ხელსაყრელი ამინდები? მაგრამ არც ერთ ამ კოლმეურნეობას 20 მაისისათვისაც თესვა არ ჰქონია დაწყებული. თვით ჯავის კოლმეურნეობასაც კი, სადაც კარტოფილის თესვა გაცილებით ადრე იწყება, გეგმით გათვალისწინებული 25 ჰექტარიდან კარტოფილი დათესილი აქვს მხოლოდ სამ ჰექტარზე.

ჯავის რაიონის არცერთ კოლმეურნეობაზე არ თქმულა, რომ ის დამკვიდროფილებლად მუშაობდეს კარტოფილის თესვაზე. კოლმეურნეობებში გამეფებულია თვითდინება, უდარდელობა, უპასუხისმგებლობა.

ყემულთის კოლმეურნეობას წელს 50 ჰექტარზე უნდა დათესა კარტოფილი. აქ თესვა ფაქტიურად არ დაუწყიათ. უფრო მეტიც, კოლმეურნეობას აკლია 180 ცენტნერი კარტოფილის თესლი.

კარტოფილის თესვაში ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ ჯავის რაიონის კოლმეურნეობებში დაბალია შრომის დისციპლინა. ზოგიერთი კოლმეურნე პირადულს გაუტაცნია და თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას. სოფელ ხვწეს კოლმეურნეობაში შრომისუნარიან კოლმეურნეთა მხოლოდ 20-25 პროცენტი გადის მინდვრად. ამ კოლმეურნეობის წევრებს დიმო, ბური, გაბე, ვლადიმერ ქოკოევებს ერთი შრომადღეც კი გამოუმუშავებიათ წელს კოლმეურნეობაში. საგანგებოდ მათ პირად საკუთრებად გადაეცეს კოლმეურნეობის ხარები, ჰყავთ ცხენები, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი არტელის წესდებით გათვალისწინებული ნორმის ზევით და სხვ. მათ არავინ არ აწუხებს. ისინი თავს არახეირად გრძნობენ, ხოლო ხალგებლობენ კოლმეურნეობის ყველა სიკეთით.

შრომის დისციპლინა დაბალია აგრეთვე ვანელის, ქეშელეთის, მსხლების და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

კარტოფილის თესვაში სამარცხვინოდ ჩამორჩება თვით ჯავის კოლმეურნეობა. ჯაველებს ორი ტრაქტორი ჰყავთ „ეკ—35" და დტ—54". ორივე ტრაქტორს წელს გაუკეთეს რემონტი ქსუნის სამანქანო-სამელიორაციო სადგურის სახელოსნოში, მაგრამ სახელოსნოდან გამოუყვანლმა ტრაქტორებმა ჯავამდე ძლივს მიაღწიეს და გაჩერდნენ. ამ ცხარე დღეებში, როცა კარტოფილის თესვის ვადები იწურება, ისინი უქმად დგანან და მერე სად? სწორედ პარტიის ჯავის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის შენობის წინ.

ჯავის რაიონმა წელს კარტოფილი უნდა დათესოს 400 ჰექტარზე. ეს ციფრი, შესაძლებლობასთან შედარებით მცირეა. ჯაველებს აქვთ საშუალება, რომ კარტოფილი ყოველწლიურად თესონ სულ ცოტა 800-1.000 ჰექტარზე. ახლახან შეიქმნა წონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. პირდაპირ საოცარია, რომ ამ საბჭოთა მეურნეობას კარტოფილის დათესვა დაუგეგმავს 25 ჰექტარზე. ეს იმ დროს, როცა კოლმეურნეობები, რომელთა ბაზაზეც ეს საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, ადრე 100-120 ჰექტარზე თესავდნენ კარტოფილს.

საერთოდ სამხრეთ ოსეთის სამმა საბჭოთა მეურნეობამ მხოლოდ 50 ჰექტარი კარტოფილის თესვა დაგეგმა. ვფიქრობთ, საქმისადმი ასეთი მიდგომა კარგს არაფერს მოასწავებს. უფრო მეტიც, 50 ჰექტარიდან დათესილია მხოლოდ 2 ჰექტარი.

ჯავაში გაზაფხულზე, თესვის დაწყებამდე კარტოფილის თესლის საკმაო მარაგი ეგულებოდათ. მაგრამ ახლა, როცა ორმოები გაიხსნა, თესლის მნიშვნელოვანი ნაწილი უვარგისი აღმოჩნდა, კოლმეურნეობები სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ. ხელახლა იწყება კარტოფილის თესლის ძებნა, ფუსფუსი.

კარტოფილის თესვის გეგმის შესრულება საფრთხეშია. ჯავის რაიონს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ კარტოფილი უხვად მოიყვანოს, სარგებლიანი ფასებით ბაზარზე გაიტანოს. ეს ბედი ჯავის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის შენობის წინ.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

რაჭიდან არ მიდის გაზეთი მკითხველამდე?

— ალო, ალო, აეროპორტია? ჟურნალ-გაზეთები თუ მოიტანა თვითმფრინავმა?

— ჯერ არ მოფრენილა, ოც წუთში იქნება.

გადის წუთები, საათები, მაგრამ ყვარლის აეროდრომზე თვითმფრინავი არა ჩანს. კავშირგაბმულობის ყვარლის რაიკანტორის ავტომანქანას სოფლებში რკინიგზით მოსული მარტო კორესპონდენცია და ამახანები მიაქვს. მკითხველი ელოდება გაზეთებს, ჟურნალებს. ელოდოს. დღეს თუ არა, ხვალ მიიღებს, ხვალ თუ არა, ზეგ. მისი გულისტკივილი კავშირგაბმულობის მუშაკებს არ ადარდებს.

— თვით

დიდება მეგრძოლ ესპანეთს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოწოდებას, რომ სოლიდარობა გამოუცხადოთ ფრანკოს ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლ ესპანელ მშრომელებს.

რესპუბლიკის ამ უდიდესი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები შეიკრიბნენ ესპანეთში რეაქციის სისხლიანი თარეშის საწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგზე. მიტინგი გახსნა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. ბაქანიძემ.

— ჩვენ, კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის, ნამდვილი საერთო სახალხო დემოკრატიის ქვეყნის მოქალაქეებს განსაკუთრებით გვაშფოთებს უკანონობა და თვითნებობა, ელემენტარულ ადამიანურ უფლებათა შელახვა, რაც ფრანკოს ესპანეთში ხდება, — განაცხადა მიტინგზე დოცენტმა ლ. ალექსიძემ.

— საქართველოს მეცნიერები თავიანთ ხმას უერთებენ ყველა კეთილი ნების ადამიანის გულისწყრომით აღსავსე საპროტესტო ხმას, სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამაყი ესპანელი ხალხის ჯალათებს, — თქვა მიტინგზე პროფესორმა გ. პაპალაშვილმა.

პროფესორმა გ. გაჩეჩილაძემ, უნივერსიტეტის სტამბის მუშამ ნ. გაბუნიამ ილაპარაკეს იმაზე, რომ საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, აღტაცებული არიან ესპანელ კომუნისტთა ერთგულებით რევოლუციის საქმისადმი, ერთგულებით ხალხისადმი. რეზოლუციაში, რომელიც მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს, ისინი ძმურ სოლიდარობას უცხადებენ ესპანეთის მუშათა კლასისა და მთელი პროგრესული ძალების ბრძოლას. (საქმესი).

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო ვაჭრობა

ხაბაროვსკი, 10 ივნისი. (საკდესი). აქ დამთავრდა მოლაპარაკება და ხელი მოაწერეს კონტრაქტს საქონლბრუნვის შესახებ 1963 წელს ხაბაროვსკის სამხედრეო თვესაქერი სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელუნძიანის პროვინციის სავაჭრო ორგანიზაციებს შორის. კონტრაქტი ითვალისწინებს, რომ გადიდდეს ურთიერთმიწოდება მესამედთან გასულ წელთან შედარებით. მნიშვნელოვნად ფართოვდება საქონლის ასორტიმენტი.

შორეული აღმოსავლეთის კოოპერატორები მიაწვდიან ბევრ ფეხსაცმელს, ქსოვილს, სატრანსპორტო საშუალებებსა და მათ სათადარიგო ნაწილებს, კარონის ბადეებს, აგრეთვე მოოთუთიებულ ჭურჭელსა და სხვა საქონელს. ხეელუნძიანის პროვინციიდან ხაბაროვსკის მხარე მიიღებს ავეკს, შალისა და თვითიკის ნაწარმს, მხატვრულ ნაკეთობებს, დაკონსერვებულ ხილსა და ბოსტნეულს და ტრადიციული ჩინური ექსპორტის სხვა საქონელს.

„მაკარენის კანონი ცივი ომის წარმონაშობია“

ნიუ-იორკი, საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო გვატყობინებს:

დაახლოებით 2.000 ნიუ-იორკელმა მოიყარა თავი „მანჰეტენ-სენტრის“ დარბაზში. ისინი მოვიდნენ მიტინგზე, რომელიც კონსტიტუციური თავისუფლებებისათვის ბრძოლის სამოქალაქო კომიტეტმა მოაწყო, რათა მოეთხოვათ უბადალებული მაკარენის კანონის გაუქმება, რომლის საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის ორგანოები ფართო ფრონტით უტევენ ელემენტარულ დემოკრატიულ თავისუფლებებს.

მიტინგი გახსნა კონსტიტუციური თავისუფლებებისათვის ბრძოლის კომიტეტის თავმჯდომარემ დოქტორმა უილარდ აპპალუმმ. მან თქვა, რომ საჭიროა გაიზარდოს ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ, რომელმაც თავი წამოსწყო. მაკარენის კანონი, — თქვა ორატორმა, — ცივი ომის წარმონაშობია. იგი ცოფიანებსა და ნეოფაშისტებს საშუალებას აძლევს მაკარტის ხანა აღადგინონ ჩვენს ქვეყანაში. მაკარენის კანონი და მისი მსგავსი კანონები ახრჩობენ თავისუფლებას, კანონგარეშე აყენებენ უმცირესობის პოლიტიკურ პარტიას და ცდილობენ ჩაგვინერგონ მტრობა იმ პოლიტიკური სისტემებისადმი, რომელთა მხარდამხარ გვსურს ვიბრძოლოთ მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მთავარი მიზანი, რომლის წინააღმდეგ მიმართულია დარტყმა, აღნიშნა თავის სიტყვაში ჩიკაგოელ კომუნისტთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კლოდ ლაიტფუტმა, არის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია. მაგრამ მარტო კომპარტიას როდი სჯერდებიან. დრაკონული მაკარენის კანონი მისწვდა ყველა სხვა პროგრესულ ორგანიზაციას და მოითხოვს, რომ ისინი რეგისტრაციაში გატარდნენ როგორც „უცხო სახელმწიფოს აგენტები“.

იუსტიციის სამინისტრომ, განაგრძო ორატორმა, როდი დასჯა ისინი, ვინც მხეცობას სჩადიოდა ბირმინჰემში — ისროდა ბომბებს, სცემდა უმწეო ბავშვებსა და ქალებს, ძაღლებს უსვამდა ზანგ მოსახლეობას, ხოცავდა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ თავდადებულ მებრძოლებს.

ამავე დროს იუსტიციის სამინისტრომ დაუყოვნებლივ აღძრა საქმე რასისტების ტერორის ერთ-ერთი მსხვერპლის წინააღმდეგ — ზანგი ქალის მიღდრედ ედელმენის წინააღმდეგ, რომლის მეული „დანაშაული“ ის არის, რომ მან მოისურვა ამომრჩეველთა სიებში ჩაწერილიყო.

ასევე დაუყოვნებლივ აღძრა „საქმე“ იუსტიციის სამინისტრომ სიეტლელი მუშის უილიამ რობეის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად დასდეს, რომ კომუნისტური პარტიის წევრი იყო და მაინც მუშაობდა გემთსაშენ ქარხანაში.

კლოდ ლაიტფუტმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრებს კვლავ პატიმრობა და უზარმაზარი ფულადი ჯარიმის გადახდის საფრთხე ემუქრება იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს რეგისტრაციაში გატარებულიყვნენ როგორც „უცხო სახელმწიფოს აგენტები“. ორატორმა თქვა, რომ საჭიროა უფრო მტკიცედ იბრძოლონ სამარცხვინო მაკარენის კანონის გაუქმებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციურ თავისუფლებათა დასაცავად.

ორატორმა აღნიშნა, რომ უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს წინააღმდეგ აღძრული საქმე და თქვა: მაკარენის კანონი უკვე შეიარყა. ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა მივაღწიოთ მის გაუქმებასო.

თვალსაჩინო პროფკავშირელმა იურისტმა ფრენკ დონერმა დაგმო ანტიკომუნისტური ისტერია, რომელსაც მაკარენის კანონისა და მისი მსგავსი კანონების საფუძველზე აღვილებენ, და აღნიშნა, რომ ეს სამარცხვინოა ამერიკისათვის.

მაკარენის კანონი, თქვა მან, გამიზნულია ამერიკის შეერთებული შტატების მთელი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. როცა ანტიკომუნიზმი ეროვნული პოლიტიკის ინსტრუმენტი ხდება, ამას გარდუვალად მოსდევს მუშათა კლასის ორგანიზაციების დევნა-შევიწროება. ანტიკომუნისტურ ისტერიას მეწარმენი ყოველთვის იყენებდნენ მშრომელთა მოთხოვნებისათვის დასაპირისპირებლად. ამ კანონის მიზანი მიმართულია ყველაზე მოწინავე პროფკავშირების წინააღმდეგ, რომლებსაც არა სურთ მონაწილეობა მიიღონ შეერთებულ შტატებში ცივი ომის ისტერიის გაღვივებაში. ასეთ პროფკავშირებს კანონგარეშე გამოცხადების საფრთხე მოელის.

მაკარენის კანონის გაუქმება, მაკარტიზმის ისეთი წარმონაშობის ლიკვიდაცია, როგორიცაა წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამოძიების კომისია, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო, ანტიდემოკრატიული ისტერიის აღმოფხვრა მოითხოვეს ავრეთვე ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ფილ გარსიამ და ჯიმ მონსონისმა, ნაციზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის წარმომადგენელმა სემ პეკნერმა.

ვაშინგტონმა უნდა შეწყვიტოს იარაღის მიწოდება ლაოსისათვის

8 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში დიდი ბრიტანეთის მოსკოველ ელჩს ბ-ნ ტრეველიანს გადაეცა საბჭოთა პროექტი თანამთავმჯდომარეთა ერთობლივი წერილისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ლაოსის საკითხზე უენევის 1962 წლის თათბირის მონაწილე სხვა ქვეყნების მთავრობებისადმი. წერილი იგზავნება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იარაღს, სამხარ მასალებსა და სხვა სამხედრო მასალებს აწვდის ლაოსს.

წერილის საბჭოთა პროექტში ხაზგასმულია, რომ ამერიკის მიერ მიწოდებული იარაღი და სამხარი მასალები არსებითად განაუთვნილია ინსოთვის, რომ ლაოსში გაჩახლდეს სამოქალაქო ომი. უენევის შეთანხმებებში ზუსტად განსაზღვრულია, რომ სამხედრო მასალების მიწოდება ამ ქვეყანაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კოალიციური მთავრობის თხოვნითა და თანხმობით, მთავრობისა, რომელშიც შედიან ქვეყნის სამი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოალიციურ მთავრობაში შემავალი ერთ-ერთი პოლიტიკური მხარე — ნეო ლაო ხაკსატი — გადაჭრით აცხადებდა და აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკამ სამხედრო მასალები მიაწოდოს ლაოსს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის რაიმე საფუძველი ამ შემოხვევაში მოიმიზეზონ კოალიციური მთავრობის თხოვნა.

ორი თავმჯდომარე, ნათქვამია წერილის საბჭოთა პროექტში, დარწმუნებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყურად იღებს მათს მოწოდებას, რაც ნაკარნახევია უენევის შეთანხმებათა განხორციელებისათვის ზრუნვით, და შეწყვეტს ლაოსისათვის იარაღის, სამხარი მასალებისა და სხვა სამხედრო მასალების უკანონო მიწოდებას.

* * *

8 ივნისს ბ-ნმა ტრეველიანმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ინგლისელი თანათავმჯდომარ ნ პასუხი საბჭოთა თანათავმჯდომარის წინადადებაზე, საიდანაც ჩანს, რომ ინგლისის მხარე არ უარყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო მასალებს აწვდიან ლაოსს, მიუხედავად ამისა არ ეთანხმება წერილის საბჭოთა პროექტს. (საკდესი).

დაფნის გვირგვინი — საბჭოთა მსახიობებს

ოსლო, 10 ივნისი. (საკდესი). აქ დამთავრდა ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობთა გასტროლები, რომლებიც დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. დასკვნითი გამოსვლის შემდეგ აღტაცებულმა მაყურებლებმა საბჭოთა მსახიობებს მიართვეს დაფნის გვირგვინი. მაყურებლები და ნორვეგიის პრესის თეატრალური კრიტიკოსები ერთსულოვნად იძლევიან შეფასებას: საბჭოთა ბალეტს ბადალი არა მყავს მსოფლიოში.

კონსტრუქციული ნაბიჯი

თეირანი, 10 ივნისი. (საკდესი). ირანის პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს ირანში. პრესა განმარტავს ცნობებს ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ჩამოსვლის შესახებ ირანში და ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ იგი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის განეითარებას.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა არამმა განაცხადა: „მივესალმებით საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ლეონიდე ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს ირანში. მისი ვიზიტი ირანში მიჩნეულია კონსტრუქციულ ნაბიჯად ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზაზე“.

ვდგომარეობა ირანში

თეირანი, 9 ივნისი. (საკდესი). მდგომარეობა ირანში კვლავ დაძაბული რჩება. მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, რომლებსაც სამოდელობა აწყობს მსხვილ მემამულეებთან ერთად, უკანასკნელი დღეების განმავლობაში აღინიშნა ირანის ბევრ რაიონში: მეშჰედსა და შირაზში, თეირანსა და თებრიზში, კუმსა და რეიაში. სამხედრო წესი კვლავ შენარჩუნებულია თეირანსა და შირაზში. იუწყებიან, რომ ფარსის მთიან რაიონებში გრძელდება შეტაკებანი რეგულარულ ჯარებსა და ტომებს შორის. ფარსის ტომთა ბელადები ილაშქრებენ მიწის რეფორმისა და მთავრობის გადწყვეტილების წინააღმდეგ ტომთა განიარადების შესახებ. მუსლიმანური სამოდგდელოების მარჯვენა ფრთა თავის ქადაგებებსა და ფურცლებში მოუწოდებს ხალხს გაილაშქრონ შაჰის აგრარული რეფორმისა და ქალებისათვის მამაკაცის თანასწორ უფლებათა მინიჭების წინააღმდეგ.

თეირანი, 10 ივნისი. საკდესის კორესპონდენტები ვ. ვისოცკი და გ. ბაიკოვი იუწყებიან: დღეს ირანის დედაქალაქში სიმშვიდეა. ქალაქის ტრანსპორტი ნორმალურად მუშაობს, მუშაობენ დაწესებულებანი, ღიაა მაღაზიები. ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გამორკვეული ზარალი, რაც ქალაქის მეურნეობას მოუვიდა ამასწინანდელი მღელვარების დროს. მაგრამ იგი დიდია. საკდესის კორესპონდენტებთან საუბარში თეირანის მერმა ნაფისმა განაცხადა, რომ თეირანის დანგრეული გზების აღდგენასა და რემონტს დასჭირდება 200 მილიონი რიალი.

სოლიდარობის რაკალი კუბის გარშემო.

„ნოიეს დოიჩლანდი“, ბერლინი.

ფრანკო ამგვადებს ახალ დანაშაულს

პარიზი, 10 ივნისი. (საკდესი). საგანგაშო ცნობები მოდის ფრანკოს ესპანეთიდან. ფაშისტები ამირებენ ჩაიდინონ კიდევ ერთი დანაშაული. მათი განზრახვაა კვლავ გადასცენ სამხედრო ტრიბუნალს ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი რამონ ორმასაბალი, რათა ამჯერად „გასამართლონ“ იგი „დანაშაულისათვის“, რაც თითქოს სამოქალაქო ომის წლებში ჩაიდინა, — წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სწორედ ეს „მოტივები“ გამოიყენეს ფრანკოს ჯალათებმა, რათა გასწორებოდნენ ესპანელი ხალხის გმირს ხულიან გრიმაუს, და წერს, რომ რამონ ორმასაბალს უკვე მიესაჯა გასული წლის სექტემბერში 22 წლის პატიმრობა მშრომელთა გაფიცვების ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის 1962 წლის გაზაფხულზე. მომდინარე წლის 31 მარსს რამონ ორმასაბალი ფარულად გადაიყვანეს ფრანკისტებმა ბურგოსის საპყრობილიდან მადრიდში. მას შემდეგ მისი ბედის შესახებ არაფერი იყო ცნობილი.

საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, ხაზს უსვამს „ლუმანიტე“, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი დანაშაული მადრიდში.

პერუელი ქანდარმები ამუშავდნენ

ბავანა, 10 ივნისი. (საკდესი). 10 დღის განმავლობაში, მამულს „პამპა ეიმოსსს“ პეტუ ქალაქ უარასის ახლოს ზზანზარედა შრაპნელების აფეთქება და შაშხანის ხლეტები: აქ მეურეთველი შტატების „ინსტრუქტორთა“ სარდლობით მოეწყო წვრთნა „პარტიზანებთან“ ბრძოლაში.

მამულის ტერიტორიაზე ინსცენირებული „ბრძოლის“ დროს, იუწყება პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი ლიმიდან, „შებრძოლნი“ დაიყენენ ორ ჯგუფად: „ლოიალურ მებრძოლებად“ ამერიკელ „მოდესტეთა“ წინამძღოლობით და „პარტიზანებად“ აგრეთვე ამერიკელი სერჟანტის უფროსობით.

ოპერაცია მოეწყო გუგმით, რომელიც შეიმუშავა ვიეტნამისა და ლაოსის ამბების სპეციალისტმა 14 ამერიკელმა ოფიცერმა.

„ლოიალურ მებრძოლთა“ მოქმედებას ხელი შეუწყო „ვ-26“ ორმა ბომბდამშენმა და 20 პარაშუტისტმა, რომლებიც ჩამოსხეს ამერიკის „ს-46“ მეორე თვითმფრინავიდან.

ტელეგრამა გვატყობინებს

□ ვარშავაში გაიმართა საბჭოთა სიმღერის შემსრულებელ მოყვარულ მომღერალთა სრულიად პოლონეთის მეორე კონკურსის ფინალი. კონკურსის შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 50 ათასი შემსრულებელი. დუნაევსკის, მოკროუსოვის, მილიუტინისა და სხვა საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები პოლონეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კონკურსის ხუთ გამარჯვებულს დააჯილდოებენ ტურისტული საგზურებით საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ.

□ ივნისში ავსტრალიის პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს — ყოველკვირეული მასობრივი მუშათა გაზეთის „უორკერ უიკლის“ პირველი ნომრის გამოსვლის 40 წლისთვს. 22 ივნისს დღე იოვლება ავსტრალიის კომუნისტური პარტიის დაბადების დღეთაც. „უორკერ უიკლიმ“, რომელსაც შემდგომ „ტრიბუნი“ უწოდეს, მუშათა კლასის საქმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუღალავი ბრძოლით ავსტრალიელი ხალხის ფართო ფენების სიმპათია და პატივისცემა მოიპოვა. „ტრიბუნი“ ავსტრალიაში ერთადერთი გაზეთია, რომელსაც კითხულობენ მთელ ჩვენს ქვეყანაში, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს „ტრიბუნის“ მთავარმა რედაქტორმა ალეკ რობერტსონმა.

□ მაროკოს უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს პარლამენტის ოთხი წევრი „ისტიკლალის“ პარტიიდან. როგორც მენის სააგენტო იუწყება, დაპატიმრების მიზეზი ის არის, რომ მათ პროტესტი გამოთქვეს მაროკოს პარლამენტის არჩევნებში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ჩარევის წინააღმდეგ. დაპატიმრებულთა შორის არიან ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი მანსუ ნეჯაი, „ისტიკლალის“ პარტიის ეროვნული საბჭოს წევრი ამბდელ აზიზ ალკაჰნი და სხვები.

□ რიუკიუს კუნძულების მთავრობამ მოწოდებით მიმართა იაპონიის რვა უდიდესი ქალაქის — ტოკიოს, იოკოჰამის, ოსაკის, ნაგოსაკი და სხვა ქალაქების მერებს დახმარება გაუწიონ ამ კუნძულებს სასმელი წყლით მომარაგების საქმეში. სასმელი წყლის ნაკლებობა გამოიწვია უკანასკნელი 78 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერმა გვალვამ რიუკიუში. ამასთან დაკავშირებით იაპონიის ყველა სანაოსნო კომპანიამ, რომელთა გემები დადიან ოკინავაში, გადაწყვიტეს სასმელი წყალი რიუკიუში იაპონიიდან გადაზიდონ.

ვალს გადახდა უნდა...

მაშ ასე, პრეზიდენტმა კენედიმ გამორჩინა მოწყალება და ძალიც გადაწყვიტა ეწვიოს ინგლისს 29-30 ივნისს, ესე იგი ევროპაში თავისი მომავალი ტურიეს ორ უკანასკნელ დღეს. კენედის თავდაპირველი უარი სწვეოდა ინგლისს, მტკიცნეულად აღიქვეს ინგლისის მმართველმა წრეებმა, რომლებიც მთელი ძალღონით ცდილობენ შეინარჩუნონ მითი ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების „განსაკუთრებულ ურთიერთობის“ შესახებ.

პრეზიდენტის ნაგვიანევი მოწყალება ლონდონში მიიჩნიეს სუფთალად რამდენადმე განამტკიცოს მაკმილანის შერყეული პოზიციები, განსაკუთრებით მთელი რიგი პოლიტიკური სკანდალების შემდეგ, რომელთაგან უკანასკნელი იყო სამხედრო მინისტრის პროფიუმოს გადადგომა იმასთან დაკავშირებით, რომ მოატყუა ინგლისის პარლამენტი.

ინგლისის პრესის ზოგიერთმა ორგანომ სავსებით სწორად შეაფასა პრეზიდენტის ვიზიტის პერსპექტივები. ისინი სულაც არ მისცემთან ილუზიას ამ ნაბიჯის ალტრუისტული ხასიათის შესახებ. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ გაზეთი „დეილი სკეტჩი“ აღნიშნავდა, რომ თუ პრეზიდენტი ჩავა ინგლისში, ეს იქნება „ქოთამში“, რომელმაც უნდა დაიყოლიოს ინგლისი ნატოს „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნაში მონაწილეობაზე, ესე იგი იმაზე, რასაც გაძლიერებით უჭევდა პროპაგანდას ლონდონში პრეზიდენტის წარმომადგენელი ადმირალი რიკოვერი.

საგრძნობი შედეგები ჯერჯერობით არ მოუტანია რიკოვერის მისიას. ინგლისის მთავრობამ, იმის გამო, რომ ამ პროექტს ოპოზიციაში უდგანან თვით კონსერვატულ პარტიაში და ზოგიერთი თვალსაჩინო სამხედრო პირი, ვერ გადაწყვიტა

სუკარნო გელგრადს ჩავიდა

ბელგრადი, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს სამი დღის არაოფიციალურ ვიზიტად ბელგრადს ჩავიდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო.

ჩვენ გვინდა, რომ მომავალი თავისუფალი იყოს ატომური ომისაგან

ამერიკელ მეცნიერთა და მასწავლებელთა მოწოდება

□

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკდესი). „ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი თანამემამულეთა სიყვარულისათვის საკვეყნოდ პირობას ვდებთ მხარი დავუჭიროთ იმ ამერიკელ ლიდერებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობიანი მომავლის, უიარაღო მომავლის შექმნას. ჩვენ გვინდა, რომ მომავალი თავისუფალი იყოს ატომური ომის საფრთხისაგან“, — ნათქვამია ამერიკის პროფესორთა, მასწავლებელთა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა დიდი ჯგუფის მოწოდებაში, რომლებმაც შეიქმნეს ომისა და მშვიდობის პრობლემების საუნივერსიტეტო კომიტეტი. მიმართვა გამოქვეყნებულია განცხადების სახით გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“.

მეცნიერები და განათლების მოღვაწენი მკვეთრად გმობენ სტრატეგებს, რომლებიც იცავენ ამერიკის შეერთებული შტატების ატომური არსენალის ზრდისა და აქტივიზაციის „შეუერგებელ ხაზს“. არ არსებობს თავდაცვის ისეთი სისტემა, რომელსაც შეეძლოს მთლიანად დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატები მასირებული დარტყმისაგან“, — აცხადებენ ისინი. „ატომური იარაღის გავრცელება კიდევ უფრო შეარყევს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას“. მშვიდობის პეშმარიტი სტრატეგია მოითხოვს ყველა შესაძლებლობის გამოყენებას სასარგებლო მოლაპარაკებისათვის. „უთანხმოებამ ადგილობრივი ინსპექციის რაცხვის საკითხში არ უნდა დაგვამოროს მთავარ მიზანს“.

მიმართვის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ განიარაღების გზაზე პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მოლაპარაკება ატომური გამოცდის აკრძალვის შესახებ. ისინი მოუწოდებენ პრეზიდენტ კენედის და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს ყოველი ღონე იხმარონ ასეთი შეთანხმების დასადებად.

მიმართვას ხელს აწერს ამერიკის შეერთებული შტატების 84 უნივერსიტეტისა და კოლეჯის 1.200-ზე მეტი პროფესორი, მასწავლებელი და მეცნიერი მუშაკი.

ერაყის ამბები

ბაღდადი, 10 ივნისი. (საკდესი). რევოლუციური სარდლობის ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა კომუნიკე ჩრდილოეთ ერაყის მდგომარეობის შესახებ. საბჭო მოითხოვს ქურთთა ტომებისაგან, რომლებსაც ბარზანი მეთაურობს, 24 საათის განმავლობაში დაუარონ იარაღი, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობის ჯარები დაიწყებენ სამხარ ოპერაციებს „აჯანყებულთაგან ჩრდილოეთის გაწმენდისათვის“. კომუნიკეში ჩრდილოეთი რაიონები გამოცხადებულია საომარი მოქმედების ზონად და გაფრთხილება ეძლევა ქალაქ სულეიმანიისა და ჩრდილოეთ ერაყის სხვა ქალაქების მოსახლეობას დახმარება არ გაუწიოს ქურთებს.

ლონდონი, 10 ივნისი. (საკდესი). რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ბაღდადიდან გადმოსცემს ცნობას რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს კომუნიკეს შესახებ და თვლის, მას ქურთთა წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების გამოცხადებად.

ლიმას განცხადება

ბავანა, 10 ივნისი. (საკდესი). ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერმეს ლიმამ განაცხადა, რომ ბრაზილიის მთავრობა აპირებს მოახდინოს კომუნალური მომსახურების მოქმედ უცხოურ საწარმოთა ნაციონალიზაცია ბრაზილიაში.

როგორც პრენსა ლატინას საააგენტო იუწყება, ლიმამ რადიოთი და ტელევიზიით განაცხადა, რომ ეს საწარმოები „არ შეესაბამებიან ბრაზილიის ეკონომიური განვითარების საჭიროებას“.

შეთანხმება მიღწეულია

ლონდონი, 10 ივნისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ცნობა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანს შორის მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ მომდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებში მოსკოვში განახლდეს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის განხილვა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დარბაზობა ბამაკოში

ბამაკო, 10 ივნისი. (საკდესი). მალის რესპუბლიკას, რომლის მოწოდებაც არის მეგობრობა უყლებლივ ყველა ქვეყანასთან, მხურვალედ სურს მშვიდობა. იგი აღსავსეა ურყევი გადწყვეტილებით გაანგრძოს ბრძოლა ომის ამტეხი ძალების წინააღმდეგ და კოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის აფრიკის კონტინენტზე, განაცხადა პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ დარბაზობაზე, რომელიც გუშინ მოაწყეს აქ აფრიკა-აზიისა და სოციალისტური ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა იმის გამო, რომ კეიტას მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია.

მოდიბო კეიტამ გამოთქვა რწმენა, რომ ბრძოლაში, რომელსაც აფრიკა იწყებს კოლონიური ბატონობის უღლისგან ტანჯული ხალხების განთავისუფლებისათვის, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები აფრიკელთა მხარეზე იქნებიან.

„ჩვენი ბრძოლა, — ხაზგასმით აღნიშნა მალის პრეზიდენტმა, — გაგრძელდება, სანამ აფრიკის მთელი ტერიტორია არ განთავისუფლდება კოლონიალიზმისაგან“.

დასასრულ მალის პრეზიდენტმა გამარკვევა უსურვა ნამდვილად მშვიდობისმოყვარე ხალხთა სოლიდარობას კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლენინური პარტიის სახელოვანი მებრძოლი

მ. დ. ორახელაშვილის დაბადების 80 წლისთავისათვის

ძველი ბოლშევიკური გვარდიის მებრძოლთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს მამია (ივანე) დიმიტრის-ძე ორახელაშვილს. ძნელია წარმოვიდგინოთ ამერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია ამ პატივცემული სახელის მოუხსენებლად. მამია ორახელაშვილი დაიბადა 1883 წლის 10 ივნისს ღარბი გლეხის ოჯახში საქართველოს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ საქარაში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ გადავიდა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნისას იგი სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფში შეევიდა. ხარკოვის უნივერსიტეტში იგი უკვე ხელმძღვანელობდა სტუდენტთა წრეს, რომელსაც ამეცადინებდა ისტორიულ მატერიალიზმში. 1903 წლის ზაფხულში მამია სამხედრო სასამართლოს გადაეცა ბანაკებში მომხდარ „არეულობაში მონაწილეობისათვის“. ამ დროიდან (1903 წ.) იგი უკვე მტკიცედ ჩადგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში, პარტიის II ყრილობის დამთავრებისთანავე სამოდამოდ მიემბრო ბოლშევიკ-ლენინელებს, აქტიურად მონაწილეობდა პეტერბურგის 1905 წლის რევოლუციურ ამბებში.

1906 წლის ზაფხულში ორახელაშვილი იყო პარიზსა და ჟენევაში. იქიდან დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს, წინასწარ პატიმრობაში გაატარა 8 თვე და ეტაპით გაგზავნილ იქნა თბილისში, სადაც გასამართლეს აელაბრის არალეგალური სტამბის ცნობილი საქმის გამო. 1908 წელს იგი გაგზავნილ იქნა იმერკასპიის ოლქში, მუშაობდა სამხედრო ექიმად, ამავე დროს თანამშრომლობდა ადგილობრივ პროგრესულ პრესაში, ბოლშევიკურ გაზეთებში. 1913 წლის ბოლოდან მამია კვლავ მშობლიურ ქუთაისშია, სადაც განაგრძობს პარტიულ მოღვაწეობას. თებერვლის რევოლუციამ მას ფრონტზე მოუსწრო. ცოტა ხნის შემდეგ იგი ჩრდილოეთ კავკასიაშია, ბოლშევიკური პარტიის კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. 1917 წლის რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის მენშევიკური მთავრობასთან საზღვარზე ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერ-ბრძოლებში. 1918 წლის ივნისიდან — ბაკინელ კომისრთა საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1918 წლის ბოლოს — ბაკინელ კომისრთა საბჭოს ეკონომიკურ ბიუროს ხელმძღვანელი. 1919 წლის ბოლოს — ბაკინელ კომისრთა საბჭოს ეკონომიკურ ბიუროს ხელმძღვანელი. 1920 წლის ბოლოს — ბაკინელ კომისრთა საბჭოს ეკონომიკურ ბიუროს ხელმძღვანელი. 1921 წლის თებერვალში მამია საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეა, შემდეგ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. 1922 წლიდან 1927 წლამდე — ამერ

სილამაზისა და სიჯანსაღის ზეიმი

III სპარტაკიადა 1963

საქართველოს III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახეობის სპორტის მონაწილენი უკვე ჩაებნენ ბრძოლაში. გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები და ფინალისტები.

კვირას და ორშაბათს თბილისის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობდა უძლიერესთა პაექრობა.

წყალბურთი, ცურვა

ფიზიკულტურის-პარკის საცურავ აუზში გრძელდება წყალბურთელთა და მცურავთა შეხვედრები. კვირას თბილისელმა წყალბურთელებმა ანგარიშით 5 : 3 დაამარცხეს აჭარის წყალბურთელები, აფხაზეთის გუნდმა მოუგო ქუთაისელებს — 6 5. გუშინდელი დღის შედეგები ასეთია: თბილისი-ფოთი 10:0, აჭარის ასსრ-ქუთაისი 5:0.

მცურავთა ასპარეზობაში პირველი ჩემპიონები გამოვლინდნენ ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. სპარტაკიადის ჩემპიონი აფხაზეთის წარმომადგენელი ს. კოროვალოვა გახდა (1, 12, 4). ამავე სახეობაში ვაჟთა შორის პირველი სამი გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები იყვნენ. გაიმარჯვა ე. ვოიტაკევიჩმა (1,00,9). „დელფინის“ სტილით ცურვაში 100 მეტრზე ქალთა შორის ჩემპიონობა ე. ლიბრაძემ მოიპოვა (1,18,9). ვაჟთა შორის 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში ჩემპიონი გახდა თბილისელი ნ. უმერენკო (2,41,3). 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთა შორის გაიმარჯვა ნ. აბზიაშვილმა (თბილისი). ვაჟებს შორის უძლიერესი ბ. ნიკიტინი იყო. ნ. ჭუმბაძემ 100 მეტრზე ზურგით ცურვაში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა (1,16,9).

ფრენბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი

დამთავრდა ფრენბურთელთა ასპარეზობა. გუშინ ფინალში თბილისელმა ფრენბურთელებმა დაამარცხეს ქუთაისელები და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს.

თბილისის კორტებზე დამთავრდა გუნდური ასპარეზობა ჩოგბურთში. წარმატებით იბრძოდნენ თბილისელები. მათ ფინალში დაამარცხეს აფხაზეთის გუნდი და პირველ ადგილზე გამოვიდნენ.

მცირე ჩოგანის ოსტატების გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი დედაქალაქის სპორტსმენები იყვნენ.

სროლა, ველოსიპედი, ფარიკაობა

მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სროლაში ვაჟთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი ქუთაისელი ი. ნაუმოვი გახდა (566 ქულა). ქალთა შორის პირველი იყო თბილისელი ლ. ჟურული (563 ქულა). არმიული შაშხანით 300 მეტრზე სროლაში გაიმარჯვა ა. სტროევმა და დაამყარა აფხაზეთის რეკორდი. აღსანიშნავია, რომ ი. ნაუმოვმა და ლ. ჟურულმა პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი.

პირველი ჩემპიონები გამოვლინდნენ საგზატკეცილო ველოსიპედოსნებში. ქალთა შორის ინდივიდუალურ რბოლაში 20 კილომეტრზე პირველი გ. ნილოვა იყო (აჭარის ასსრ). ვაჟთა შორის 50 კილომეტრიანი დისტანცია ე. მელკოვმა (თბილისი) მოიგო. გუნდურ რბოლაში პირველები აჭარის სპორტსმენები იყვნენ.

მოფარიკავეთა პირად პირველობაზე ხმლით ბრძოლაში სპარტაკიადის ჩემპიონი თბილისელი ნ. ასათიანი გახდა. რაპირისტთა ასპარეზობაში ჩემპიონობა ნ. ძიძიკაშვილმა მოიპოვა, გუნდურ ჩათვლაში წინ ქუთაისელები არიან.

ცხენოსნობა, კრივი

დელიჟანი იპოდრომზე გრძელდება ცხენოსანთა გამოსვლები. ცხენის გაწვრთნაში „საშუალო ჯილდო“ თბილისელმა ა. დგებუშაძემ მოიგო და მეორედ გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი. დაბრკოლებათა „ამორჩევით“ გადალახვაში ჩემპიონობა ზუგდიდელმა გ. კპარაცხელიამ მოიპოვა. დაბრკოლებათა გადალახვაში „დაწყებითი ჯილდო“ ხვდა აფხაზეთის წარმომადგენელს ა. ბოგუმოლოვს.

კრივში პირველობისათვის ერთმანეთს 78 უძლიერესი სპორტსმენი ეცილება. გაიმართა წინასწარი შეხვედრები. პირველი ტურის ბრძოლებში გაიმარჯვეს—თბილისელმა გ. ჩობანიანმა, აფხაზეთის წარმომადგენელმა ა. კაპლიჩუკომ, ქუთაისელმა რ. თოფურიამ და სხვ. მეორე წრეში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს: თბილისელებმა ნ. ჭიკავამ, ტ. რაზმაძემ, მ. მამამთავრიშვილმა, დ. ჩოგოვაძემ; ქუთაისელებმა ჯ. კვანტალიანმა და მ. კვიცარიძემ, აჭარელმა კ. კუტუბავამ და გორელმა კერესელიძემ. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ თბილისისა და ქუთაისის გუნდები.

ბ. ბახტურიძე,
ო. ლორთქიფანიძე.

ი. ხ. ნოღაიდელი

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომუნისტური პარტიის ქობულეთი ი ს სამრეწველო - საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი ილიას ხუსეინის-ძე ნოღაიდელი.

ი. ხ. ნოღაიდელი დაიბადა 1916 წლის 10 ივნისს ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში გლეხის ოჯახში. 1940 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ქ. პერმის მანქანათსამშენებლო ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგად. 1947-1949 წლებში ი. ხ. ნოღაიდელი მუშაობდა ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის სამკეფლო, ხოლო შემდეგ მექანიკური საამქროს უფროსად. 1949-1950 წლებში იგი მუშაობს აჭარის ასსრ! ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ. 1950-1953 წლებში — ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და კომუნალური განყოფილების გამგედ. 1953 წლიდან 1962 წლამდე ი. ხ. ნოღაიდელიქ კვლავ სამეურნეო სამუშაოზეა — იგი მუშაობდა ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორად.

ი. ხ. ნოღაიდელი 1962 წლის მარტში დაწინაურებულ იქნა ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1963 წლის ივნისში [illegible] საქართველოს [illegible] ქობულეთის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის [illegible] ი. ხ. ნოღაიდელი სკკპ წევრია 1943 წლიდან. იგი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის ი. ხ. ნოღაიდელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ი. ხ. ნოღაიდელი იყო პრინციპული და ენერგიული მუშაკი, თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგი. სამეურნეო და პარტიული მუშაობის ყველა უბანზე, სადაც იგი მუშაობდა, პირნათლად ასრულებდა პარტიისა და მთავრობის დავალებებს. მან დამსახურებულად მოიპოვა მშრომელების სიყვარული და ნდობა.

ი. ხ. ნოღაიდელის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

მეგობრების გასტროლები

გლაპარი თხუნიაგე

ზღაპარი ზღაპარია და მას სწორედ ისე უნდა მოვეკიცეთ, როგორც ზღაპარს. საკირო არ არის მისი შელამაზება, იგი ისედაც მშვენიერია. ცხადია, არც პრიმიტიულობამდე დაყვანა იქნება სწორი — ზღაპარი სიბრძნეა და სწორად სიბრძნეს უნდა ამკვიდრებდეს. უნდა შეგვეძლოს ეს სიბრძნე შევიგრძნოთ მიაძიტობას, ფანტასტიკა — რეალობას, რამდენადმე ზოგადობა — კონკრეტულობასა და ღრმა ადამიანურობას.

ერთი შეხედვით ყოველივე ეს თითქოს არც ისე ძნელი საქმეა. სინამდვილეში კი!.. განა ყველა ახერხებს მიაღწიოს სასურველ ჰარმონიულობას? და არავითარი ზუსტი რეცეპტები და თვით ანბანური ჭეშმარიტებანიც კი არ შეიძლება გაუტოლდნენ იმ პრაქტიკულ სიძნელეებს და არც თუ ხშირად მიგნებულ ნიუანსებს, რომლებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული ხელოვნებაში და რომლებიც დაკავშირებულია მხატვარ-შემოქმედის პიროვნებასთან, მის მიერ ქანრისა და თემის გაგებასა და შეგრძნებასთან.

დიახ, ზღაპარი ზღაპარია. და მასთან შეხვედრისას მხოლოდ ის გაიმარჯვებს, ვინც ცდილობს არა იმას, რომ იაროს ნაკლები წინააღმდეგობების გზით, არამედ ეძებს განზოგადებას, ეძებს „იდეალს, ამკვიდრებს მშვენიერებას ამ ცნების ფართო, ზოგადსაკაცობრიო გაგებით.

სწორედ ასე მოიქცა კომპოზიტორი **სერგეი პროკოფიევი,** როცა თავის მუსიკაში შეძლო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მომხიბვლელი

ს. პროკოფიევის „თხუნია“ — ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმა

□

ზღაპარი განეცადა როგორც მშვენიერების ფართო, განზოგადებული განსახიერება, როგორც სიმბოლო სიკეთისა და სინათლისა, ცხოვრების სიყვარულისა და პოეზიისა.

ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა, დირიჟორმა **ი. ვოსკანიანმა,** ბალეტის დამდგმელმა **ე. ჩანგამ,** მხატვარმა **ა. მინასმა** და საერთოდ ბალეტის შემქმნელებმა სწორედ შეიგრძნეს პროკოფიევის მუსიკის ეს განსაკუთრებულობა და თავისებურება და შეძლეს მისთვის იდენტური ფორმის გამონახვა, როგორც სპექტაკლის საერთო ჩანაფიქრში, ისე მის თვითეულ სახესა და epizoდში.

მე საშუალება მქონდა ბალეტი „თხუნია“ მენახა სხვადასხვა დადგმით, სხვადასხვა და, შესაძლოა, შემსრულებელთა უფრო ძლიერი შემადგენლობით. უნდა ვთქვა, რომ არც ერთ ამ დადგმაში არ მინახავს სცენაზე მიმდინარე ამბებისადმი ან, უფრო სწორად, ჟანრისადმი დამოკიდებულების ისეთი თანმიმდევრული და ზუსტი გამოხატულება, სპექტაკლის ისეთი მთლიანი, გამიზნული და დამთავრებული გადაწყვეტა, როგორიც ერევნის თეატრში ვნახე.

ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ „თხუნია“ მხოლოდ ამგვარად უნდა დაიდგას. პირიქით — ბალეტმეისტერის უფლება „სპექტაკლის ახლებურად გადაწყვეტისა აუცილებელია, და ვინ იცის, შესაძლოა პროკოფიევის ბალეტის დადგმაში სრულყოფილი სიტყვა მომავალს ეკუთვნის. მაგრამ ის განსაზღვრულობა, მხატვრის პოზიციის ის მკაფიო გამოხატულება, რომელსაც არ შეიძლება აუორადდა არ მიეკცია ბალეტ „სპარტაკის“ დადგმაში, თვალნათლივ მოჩანს „თხუნიაშიც“ (ამ ორი ბალეტის ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად). შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: რეალისტური ჩანაფიქრის გარკვეულობა და არა ბუნდოვანება, სიცხადე და არა ამორფულობა, თემისადმი თავისებური მიდგომა, ზოგადისა და კერძოს ჰარმონიულად შერწყმის შეგრძნება წარმოადგენს ბალეტმეისტერ ე. ჩანგას განმასხვავებელ თვისებას და განსაზღვრავს მის ადგილს საბალეტო თეატრში.

მაინც რაშია სპენდიაროველთა „თხუნიას“ თავისებურება? უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ დამდგმელი და მასთან ერთად მხატვარიც არ ილტვიან განზრახ გამოგონებული ზღაპრულობისა და პომპეზურობისაკენ. ფანტასტიკას, რომელიც მათთვის თვითმიზანი არ არის, ისინი იყენებენ ორთხელად, თავდაჭერილად, მხოლოდ როგორც სინამდვილის გამოვლინების საშუალებას. ე. ჩანგასა და ა. მინასს კარგად ესმით, რომ პომპეზურობა და ფერიულობა სავსებით ეწინააღმდეგება პროკოფიევის მუსიკის მელოდიურ წყობას.

მაგრამ ზღაპარი მაინც ზღაპარია და მასში აუცილებელია მოიძებნოს ზღაპრული ამაღლებული ხერხი, არა საყოფაცხოვრებო, მაგრამ ყანონბრივად თავისებური, თეატრალობის ნიშნები. რეალისორს მხატვართან ერთად ეს თეატრალობა გროტესკული შტრიხების თავისებურ, თამამ შერწყმაში და თხუნიას პოეტურ ზღაპრულ ხახებში მიუგნია. სცენაზე ყველაფერი ჭრელია, შეიძლება ითქვას მყვირალა სიჭრელეა, დაახლოებით ისე როგორც სპბავშვო სათამაშოების სამყაროში — რამდენადმე ასაცილო, რამდენადმე მიამიტური.

ამ ჭრელჭრელა საბამაშო ფონზე როგორც კონტრასტი სრულყოფილების სახით მოგვეცემინება თხუნიას მომხიბვლელი სიწმინდე, სიფაქიზე. და ჩვენთვის გასაგებია: — ეს არის ხერხი, გამიზნული თამამი ხერხი. იგი გამოხატულია კოსტიუმებში, დეკორაციებში, სპექტაკლის ქორეოგრაფიულ წყობაში; საერთოდ სპექტაკლის წყობა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ორპლანიანი, თვითეული ამ პლანისათვის რეჟისორი, მხატვარი და ექტიორები პოულობენ შესაბამის ორგანულ გამოხატულებას.

მაგალითისათვის ავიღოთ დედინაცვლის სახე ს. მინასიანის შესრულებით. ეს ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი სახეა სპექტაკლში. ღვარძლიანი დედინაცვალი — მინასიანი თითქოს თავის თავში აერთიანებს იმ თავისებური ხერხის მთელ ევნტესენციას, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით. იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე **დ. ალექსანიანსა** და **ლ. მარტიროსიანზე** — დების პარტიების შესრულებაზე, **ვ. ხანამირიანსა** და **ფ. ელანიანზე** (ქალები). **ხ. მარქარიანზე** (მამა) და, რასაკვირველია, დიდებულ მოცეკვავე **ნ. მეგრაბიანზე,** რომელიც ბრწყინვალედ ასრულებს მასხარას რთულ პარტიას (საერთოდ საჭიროა აღიხიშნოს, რომ სპექტაკლის დამდგმელი ე. ჩანგა არასოდეს არ ცდილობს საეკეკვაო პარტიტურის გამარტივებას და შემსრულებლებს საკმაოდ რთულ ქორეოგრაფიულ მოძრაობებს სთავაზობს, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს შემსრულებელთა შემდგომ შემოქმედებითს და პროფესიულ ზრდას). ასეთივე ხერხით არის აგებული სცენა გნომებით, ბალის სცენა, სცენა-ინტერმედია ფარდის წინ და, ბოლოს, უფლისწულის მოგზაურობის სცენა. თვითეული მათგანისათვის მონახულია გახეთმორებელი, თავისებური კოლორიტი და ამასთან ერთად ყველა ემორჩილება დადგმის საერთო ჩანაფიქრს. რა დიდებულად კონტრასტულია ყოველივე ამასთან სპექტაკლის მეორე (უფრო სწორად — ძირითადი) პლანი, რომელიც გვეკლინება რიგორც რეალობა ზღაპრულ სამყაროში, როგორც მშვენიერების სამყაროო. ცხადია, მის ცენტრში არიან თხუნია — **ლ. სემანოვა,** უფლისწული — **ვ. გალსტიანი** და ფერია — **ა. მარიკოანი.**

სანტერესოდ არის ჩაფიქრებული და გადაწყვეტილი თხუნიასა და უფლისწულის საცეკვაო duetები — ადაქიო. კარგია, რომ ბალეტმეისტერი ადაქიოს პირობითად ცალკე სცენაში გამოჰყოფს. თითქოს ეს ყოველივე ბალზე ხდება, ამასთანავე თითქოს დამოუკიდებელ სცენურ ნაწილად არის გამოკვეთილი მოქმედების საერთო კონტექსტიდან. ჩანაფიქრი ხათელია: თხუნია და უფლისწული მხოლოდ ერთმანეთისათვის არსებობენ, სიყვარულის მშვენიერ სამეფოში ცხოვრობენ. ამ აზრით განსაკუთრებით საინტერესოა ფინალური ადაკიო, რომელიც ყოველგვარი თეატრალური შაბლონისაგან განსხვავებით ბალეტმეისტერს გადაუწყვეტია არა პათეტიკური და გარეგნულ-პომპეზური ხერხებით, არამედ მიწყსარებული, წყნარი ტონებით, მშვიდი, შენელებული რიტმით. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფინალი სპექტაკლის საერთო განწყობილებას არ ეთანხმება. მაგრამ რეჟისორი როდი შემცდარა! სწორედ ამ შენელებულ-მშვიდ ადაკიოშია განსახიერებული ზღაპრის მთელი ადამიანურობა და სიბრძნე, რომელიც ასე ოსტატურად მიაქვთ მაყურებლამდე მთავარი პარტიების ნიჭიერ შემსრულებლს.

როცა სპენდიაროველთა „თხუნიას“ უყურებ, ძალუნებურად ასეთი ფიქრები გეუფლება: ახალგაზრდობა გამრავლებული ტალანტზე და საკუთარი შესაძლებლობის სრულყოფისაკენ დაეცხრომელი მისწრაფება შემოქმედებითი ზრდისა და დაოსტატების საეკეთესო პირობაა ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდ და ძნელ გზაზე.

ეთერ გუგუშვილი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლ „თხუნიადან“; თხუნია — ლ. სემანოვა, უფლისწული — ვ. გალსტიანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საგზოთა მოჭადრაკეების წარმატება

მართალია, უკანასკნელი ტურიდან, რომელიც 9 ივნისს შედგა, ყველა პარტია არ დამთავრებულა, მაგრამ ანგარიში 33,5 : 21,5 თავისთავად მეტყველებს, რომ იუგოსლავიელებს სსრ კავშირის გუნდის დაწევა აღარ შეუძლიათ.

უკანასკნელ, მეექვსე ტურში ყველაზე საინტერესო იყო საერთაშორისო ოსტატის **მიკენასისა** (სსრ კავშირი) და გროსმაისტერ **გლიგორიჩის** პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული **ბანიკ-მინიჩისა** და **ივკოვ-სუეტინის** პარტიებში. **ნედელკოვიჩმა** დაამარცხა **კუშნირი, ზახაროვმა — ბოიკოვიჩი.**

მეხუთე ტურში გადადებული პარტიების შედეგები ასეთია: **შტეინმა** მოუგო **ივკოვს; ზახაროვ - კურაიცას** პარტია ყაიმით დამთავრდა.

გუშინ მოეწყო უკანასკნელ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

სოჭის ტურნირზე

საერთაშორისო საშადრაკო ტურნირი, მიძღვნილი ი. ჩიგორინის ხსოვნისადმი, ფინიშს უახლოვდება. გუშინწინ შედგა მორიგი, მერვე ტური. ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერის — პოლუგაევსკაისა და კროგიუსის პარტია. მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ჩოკილტიაბობოკოვისა და ხოლმოვ-ანტონშინის პარტიებში. კოზმამ დაამარცხა ზაიცევი. ორი პარტია, მათ შორის სმისლოვ-ჰაგის პარტია, გადაიდო.

რვა ტურის შემდეგ ლიდერობას გროსმაისტერი **ლ. პოლუგაევსკი** ინარჩუნებს, რომელსაც შვიდი ქულა აქვს.

ვინ მიაღწევს სანუკვარ მიზანს?

10 აგვისტოს, სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადის გახსნის საზეიმო დღეს, მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მწვანე მინდორზე, ერთმანეთს შეებმება ფეხბურთელთა ორი გუნდი. ესენი იქნებიან საბჭოთა კავშირის ფეხბურთის თასის მორიგი, 22-ე გათამაშების ფინალისტები.

... თასს თავისი ულმობელი კანონები აქვს: დამარცხებული გადის ბრძოლიდან. ბევრ გუნდს უკვე ხვდა წილად ეს ხვედრი. ახლა ორმოცდაერთი გუნდია დაუმარცხებელი (ცხოლმეტი „ა“ კლასის პირველ ქვეჯგუფიდან, ცამეტი — მეორე ქვეჯგუფიდან და ცხრა — „ბ“ კლასიდან). სანუკვარ მიზანს ყველაზე უფროო მიუახლოვდა სსრ კავშირის თასის სამგზის მფლობელი, მოსკოვის ტორპედოელთა გუნდი. კენჭის ყრამ გუნდი პირველივე გამარჯვების შემდეგ მერვედფინალში მოახვედრა.

მაგრამ განა შეიძლება ანგარიშში არ ჩავაგდოთ დანარჩენი პრეტენდენტები, მით უმეტეს, რომ მათ შორის არიან „თასისათვის მეფგარი მებრძოლები“! ვინ იცის, იქნებ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა შეძლონ არა მარტო ფინალამდე მისვლა, რომელშიც ხშირად ყოფილან, არამედ, ბოლოს და ბოლოს, კიდეც გაიმარჯვონ თასისათვის გამართულ დასკვნითს მატჩში.

თავიანთი საბოლოო სიტყვა არც მეორე ეშელონის ფეხბურთელებს უთქვამთ. (საკვანძო).

საგზოთა ჩოგბურთელები — ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონები

გამოვლინდა ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატის პირველი გამარჯვებულები ჩოგბურთში. ესენი არიან საბჭოთა სპორტსმენები მოსკოველი **ა. დმიტრიევა** და თბილისელი **ი. ერმოლოვა** (რიაზანოვა),რომლებმაც წყვილთა ასპარეზობაში დაამარცხეს მასპინძლები — **პილარკოვა** და **სტარაზოვა** 6 : 4, 5 : 7, 6 : 1 და პირველად გახდნენ ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონები.

დუგლიორთა კაეძროგა

ა რ მ ი ი ს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა მატჩი ფეხბურთში, რომელიც 7 ივნისს უნდა შემდგარიყო გადატანილ იქნა 9 ივნისისათვის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთად-ერთმა ბურთმა, რომელიც მაისურაძემ გაიტანა მეტოქის კარში. გაიმარჯვეს თბილისელებმა.

დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ: ლეკვა, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, გეიმრაძე, წეწეწუნავა, ხელაძე, ხუციშვილი, ილიადი, მელაშვილი, მაისურაძე, დათუნაშვილი.

„ბ“ კლასის გუნდების შემსვედრები

გასულ კვირაოდეს გაიმართა რესპუბლიკათა „ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა ფეხბურთში.

სოხუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ბენდერის „ნისტრელის“ გუნდები. მატჩი მოიგო „დინამომ“ 2 : 1.

რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ ტირასპოლის „ლოჩაფერულისა“ და რუსთავის „მეტალურგის“ გუნდები. გაიმარჯვა „მეტალურგმა“ 1 : 0.

ლიდერი დაუმარცხებლად მიგრძელის

გასულ კვირაოდეს მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეცამეტეტურის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და ალმა-ატის „კაირატის“ გუნდები. დინამოელებმა ა. ნიკოლაევმა და ვ. კოროლენკოვმა მოწინააღმდეგის კარში თითო ბურთი გაიტანეს და, თავის გუნდს მორიგი გამარჯვება მოუტანეს.

ამრიგად, ლიდერმა—მოსკოვის „დინამომ“ გათამაშების ცხრილში მეტად საეჭირო ორი ქულა ჩაიწერა, იგი კვლავ დაუმარცხებლად იბრძვის.

საერთაშორისო მატჩები

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებიან ბრაზილიისა და ურუგვაის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდები „ფლუმინენსე“ და „სერო“. გასულ კვირაოდეს მათ გამართეს მორიგი საერთაშორისო შეხვედრები.

ოდესაში თამაშობდნენ ადგილობრივი „ჩერნომორეცი“ და ურუგვაის „სერო“. ურუგვაელებმა შეჯიბრება აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2 0.

ლუგანსკის „შახტიორის“ წინააღმდეგ იბრძოდა ბრაზილიის „ფლუმინენსე“. აქაც ჩვენს ფეხბურთელებს წარუმატებლობა ხვდათ, მათ წააგეს შეხვედრა 1:2.

ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

სპორტული ქრონიკა

□ ფინეთის მუშათა სპორტული კავშირის მეექვსე საზაფხულო ასპარეზობაში მაღალი სპორტული შედეგები აჩვენეს საბჭოთა მძლეოსნებმა. შეჯიბრების გმირი იყო ვ. ბრუმელი, რომელიც სიმაღლეზე გადახტა 2 მეტრსა და 18 სანტიმეტრზე.

□ ჰავანაში საბჭოთა კალათბურთელებმა გამართეს მორიგი საერთაშორისო მატჩი კუბის ნაკრებთან და გაიმარჯვეს 70 : 60.

□ შვეიცარიის ქალაქ ბაზელში მიეწყო მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩი ხელბურთში ბერ-სა და გფრ-ს ეაჟთა გუნდებს შორის. გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა 14:7 და ჩემპიონობა მოიპოვა.

□ იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ვენაში შეხვდა ავსტრიის ეროვნულ ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით 1 : 0.

□ ბუდაპეშტში შედგა საერთაშორისო მატჩი ხელბურთში სსრ კავშირისა და ენგრეთის ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 7 : 5.

□ ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს საერთაშორისო მატჩი ჰქონდა ბაზელში შვეიცარიის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 8 : 1.

„კომუნისტის“ რედაქციას

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გადავუხადოთ სათანადო ორგანიზაციებს, ყველა შემოქმედებითს დაწესებულებასა და კოლექტივს, ამხანაგსა - და მეგობარს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ვალერიან გუნიას დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეში.

ვალერიან გუნია ოჯახი.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში არქტიკული სიცივის შემოკრა არ წყდება. ჰაერი ოდნავ გათბება თუ არა, ჩრდილოეთიდან წამოვა სიცივის ახალი ნაკადი. ცენტრალურ ზოლში განუწყვეტელი წვიმებია. ხშირია წვიმა და ქარიშხალი ვოლგისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. მოყლე ხანს 25 გრადუსამდე აიწია ტემპერატურამ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. ზღვაში წყალი 20 გრადუსამდე გათბა. მაგრამ შუა კვირაში კვლავ აგრილდა.

ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში ამინდი უფრო მყარია. ნაკლებია წვიმები და მეტია მზე. ჰაერის ტემპერატურაა 20 გრადუსი, რიგის უყურეში წყლის ტემპერატურა — 12 გრადუსი. უახლოეს დღეებში ცივი ჰაერი ბარენცის ზღვიდან კვლავ შეიჭრება არხანგელსკის ოლქში, ვოლგის ასს რესპუბლიკაში, ვოლგისპირეთში, ურალში. სადაც წვიმები მოვა. ცენტრალურ ზონაში ტემპერატურის დაწევა მცირე ხანს გაგრძელდება, ჰაერი თანდათანობით გათბება.

წვიმები იყო დასავლეთ ციმბირისა და აღმოსავლეთ ციმბირისა და აღმოსავლეთ ციმბირის ზეგანებში. ამინდი ადგილ-ადგილ ცვალებადია. ტემპერატურა ზოგ ადგილას ოდნავ ეცემა, ზოგ ადგილას ოდნავ მატულობს. ამ ორ ადგილას ამინდი ბევრ ადგილზე ბოლო ორ დღეს ზამთარს ჰგავდა. ბევრ